სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 12 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба" [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 219 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 219

ღრმად დამწუხრებული დედ-მამა დავითი და მართა, ძმები: რაჟდენი, ვალოდია, ანდრო და ვასო, დები: მატრონა, ბაბილინა და ელენა თავართქილაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მასწავლებელ

ტარასი თავართქილაძის

უდროოთ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 13 ოქტომბერს სოფ. ფიჩხის ჯვრის ეკლესიის გალავანში.

კვირას, 13 ოქტომბერს 1918 წ. წრის ბინაზე (მიხეილის ქუჩ. № 102) სახალხო ახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის გამგეობის მიერ დანიშნულია წრის წევრთა

საზოგადო კრება.

კრებაზე განსახილველია: გასული სეზონის ანგარიშები, ხარჯთ-აღრიცხვა და გამგეობის არჩევნები.

რადგანაც ეს კრება მეორედ არის დანიშნული, ამიტომ კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს კრებაზე.

სოც.-დემ. მ. პ. ბორჯომის რაიონის კომიტეტი

ორშაბათს, 14 ოქტომბერს, დღის 3 საათზე, შუშის ქარხნის სკოლის დარბაზში, იწვევს პარტიის წევრთა

საერთო ყრილობას.

განსარჩევია: 1) მომენტი, 2) სასიეზდო კითხვების გახხილვა, 3) დელეგატების არჩევა გორის სამაზრო ყრილობაზე და 3 ნოემბრის საერთო ყრილობაზე და 4) არჩევა პარტიულ საკანტროლო კომისიისა. დარბაზში შესვლა ბარათებით.

ბორჯ. ს. დ. რაიონ. კომიტ. თავმჯდ. გრიშა ურუშაძე.

დღეს, საღამოს 8 საათზე კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება

პოლიტიკური დისპუტი.

გიორგი მამრაძე წაიკითხავს მოხსენებას: ახლად-შობილ საქართველოს სოციალპოლიტიკური ვითარება („ქართლის ბედის" უკუღმართობა და საქართველოს ტრაგიზმი). მოხსენების შემდეგ ოფიციალურ ოპონენტებათ და ოპონენტთა ოპონენტებათ გამოვლენ საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციების წევრნი: აბმეტელი ალ. (რად.-დემ.), ვეშაპელი გრ. (დამოუკ. ნაც.-დემ.), ონიაშვილი დ. (სოც.-დემ.), ჩერქეზიშვილი ი. (სოც.-რევ.), ჩიქოვანი დ. (რად. დემ.) მონაწილეობას მიიღებენ სხვა პარტიების წარმომადგენლებიც.

მოხსენება შეეხება სომეხთა ერის ისტორიულ ტრაგიზმსაც.

ბილეთები იყიდება ქართ. კლუბში, შაბათს საღამოს კონსერვატორიის დარბაზში.

## ზავი და ვილსონი

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვილსონის სტატს-სეკრეტარ ლანსინგმა გერმანიის პარლამენტიურ მთავრობას ზავზე უარი უთხრა. მან გერმანიას ისეთი ზავის პირობები წამოუყენა, რომელიც—ეჭვ გარეშე—გერმანიის სრულ კაპიტულიაციას ნიშნავს.

ამერიკის მთავრობა კატეგორიულად თხოულობს, რომ გერმანიის მთავრობამ ყველა დაკავებულ ტერიტორიებიდან დაუყონებლივ ჯარები გაიყვანოს და მხოლოდ მაშინ შეიძლება საზავო პირობებზე მოლაპარაკებაო.

ეს ისეთი პასუხია და პირობების წაყენებაა, რომელიც, ჩვენის აზრით ომს გაახანგრძლივებს და ზავის ჩამოგდებას გადასდებს. გერმანიის დემოკრატიული მთავრობის ზავის წინადადება აშკარათ და გულწრფელად ესწრაფვის ზავის ჩამოგდებას, ხოლო ამერიკის ნოტა კი არსებითად მისი წინააღმდეგია.

ჩვენ ბევრჯელ აღგვინიშნავს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის ტიპიური ბურჟუაზიული მთავრობა თანამედროვე მსოფლიო ომში წმინდა იმპერიალისტური ინტერესების მიხედვით ჩაერია და მას მეტოქების განადგურება აქვს მიზნათ დასახული. ამ შემთხვევაში მან უპირველეს ყოვლისა ნიშანში გერმანია ამოიღო და ამ უძლიერესი კონკურენტის განადგურება უნდა, მან ისიც კარგათ იცის, რომ გერმანია ასეთ სამარცხვინო ზავის წინადადებას არ დასთანხმდება და შესაძლებელია ომმა კვლავ ხანგრძლივათ იწარმოვოს. ომის გახანგრძლივება კი ყველაზე მეტათ ხელსაყრელია ამერიკის კაპიტალისტების და მათი მსხვილი ინდუსტრიისათვის. ჩვენ ვამბობთ ომის გახანგრძლივება ამერიკისათვის ხელსაყრელია, ვინაიდან ასეთი ომი გერმანიასთან ერთათ დაასუსტებს და მიწასთან გაასწორებს ევროპისა და ინგლისის ისედაც დასუსტებულ მრეწველობას და უკანასკნელი შედეგი კი ამერიკის ნაწარმოებს უშველებელ ბაზარს მოუპოვებს.

ამ რამდენიმე ათი წლის წინათ კარლ კაუცკი სწერდა: ამერიკის მრეწველობა ისე ვითარდება, ისეთი ძლიერი მეტოქე ხდება, რომ ბოლოს ევროპა და ინგლისის სახელმწიფოები ერთგვარ სავაჭრო და სამრეწველო კოალიციას შეადგენენ, რომ ამერიკის გაძლიერებული კონკურენცია მოიგერიონ და მით თავიანთ ინდუსტრია განადგურებისაგან უზრუნველყონ.

თუ როდისმე ხელსაყრელი პირობები იყო ამერიკისათვის—ეს სწორეთ ეხლაა. ხანგრძლივი ომით მოქანცული და ეკონომიურათ განადგურებული ევროპა და ინგლისი, უკეთუ ომი კიდევ რამდენიმე ხნით გაგრძელდა წარმოუდგენლათ დასუსტდება და ამერიკა ევროპაში ეკონომიურათ გაბატონდება.

ამერიკის მსხვილი კაპიტალისტები, ასი წლის განმავლობაში გალაღებული და საზღაპროთ გამდიდრებული ტრესტის პატრონები, დიდ ბაზარს საჭიროებენ და ეხლა მათთვის დასუსტებული, დაქვეითებული მსოფლიო დიდი სასპეკულიაციო ასპარეზი იქნება.

აი ასეთი გამდიდრების ბაზრების გაჩენის გულისათვის ამერიკის მილიარდელები გერმანიის დემოკრატიულ ზავის პირობებს უარს ჰყოფენ და მაცდურათ ომის გაგრძელების მომხრეთ გამოდიან.

მაგრამ გერმანიის პარლამენტის დემოკრატიული ზავის წინადადებას მრავალი მოსარჩლე გამოჩნდება; ესაა ევროპისა და ინგლისის შეგნებული და ორგანიზაციულათ შეკავშირებული დემოკრატია. უკანასკნელი თავის მდგომარეობის გამო იძულებულია თავთავიანთ მთავრობის იმპერიალისტების პოლიტიკას თავი დააღწიოს და დემოკრატიული ზავის წინადადებას მხარი დაუჭიროს.

ოთხი წლის მსოფლიო ომის განმავლობაში ევროპისა და ინგლისის დემოკრატია აშკარათ დარწმუნდა, რომ იარაღის საშუალებით არ შეიძლება ზავის ჩამოგდება; ძალდატანებ ს მეოხებით არ შეიძლება დემოკრატიული ზავის განმტკიცება, არამედ საჭიროა შეთანხმებით ბოლო მოეღოს ამ ქვეყნის დამქცევ ომს და ხალხთა შორის ხანგრძლივი მშვიდობიანობა ჩამოვარდეს.

დღეს ამერიკის მთავრობა ისეთ ზავს მოითხოვს, რომლის წინააღმდეგიც თითქოს წინეთ ის იყო. მან ომში ჩარევამდის დემოკრატიული ზავის წინადადება წამოაყენა და როცა ახლა გერმანიის დემოკრატიული პარლამენტი ამას მოითხოვს, იგი მას ამერიკულათ მხარს უქცევს და უნდა საქმე ხმლითა და ტყვიით გადასწყვიტოს.

მაგრამ ამერიკის იმპერიალისტები მწარეთ სცდებიან. გერმანიის ხალხის განადგურება და მისი საბოლოვოთ დამხობა ისე ადვილი არ არის, როგორც ეს ამერიკის ფინანსიურ და სამრეწველო კაპიტალისტებს ჰგონიათ.

გერმანიის ხალხის მიერ წამოყენებული დემოკრატიული ზავის მიღება ყველგან გამოხმაურებას იპოვის და მთელი ქვეყნის გულწრფელი დემოკრატიის სიმპატია მისკენ იქნება. უკანასკნელი გარემოება კი წარმოუდგენლათ გაამხნევებს გერმანიის ხალხს, გაათკეცებს მის თავდაცვის უნარს და იგი ამერიკის კაპიტალისტებს არ გაახარებს.

საერთაშორისო დემოკრატია მუდამ და ყოველთვის დემოკრატიულ ზავს მოითხოვს და ამ ნიადაგზე სდგას იგი დღესაც. მხოლოდ დემოკრატიას შეუძლიან იარაღის მაგიერ შეთანხმების პრინციპი წამოაყენოს და ამ გზით მოსპოს ეს საშინელი ომი. ამ შეთხვევაში გერმანიის დემოკრატიამ პირველობის როლი თავს იდო და გაბედული ნაბიჯიც გადადგა. ახლა გერმანიის შეგნებულ დემოკრატიას გვერდში ამოუდგება მთელი ქვეყნის დემოკრატია და ამერიკის კაპიტალისტების მზაკვრული მიზანი ვერ განხორციელდება.

თუ როდისმე საჭირო ყოფილა მთელი ქვეყნის დემოკრატიის გაერთიანება, ეს სწორეთ ეხლა და ყველანი გვერდში უნდა ამცუდგენ გერმანიის დემოკრატიულ პარლამენტს და მასთან ერთად საერთაშორისო დემოკრატიული ზავი მოითხოვონ.

## გზათა და სურსათის სამინისტროს

გაზეთ „ბორბაში" ასეთი ცნობაა მოთავსებული: „21 სექტემბრიდან თფილის სადგურზე დაიწყო მოსვლა სურსათის სამინისტროს სახელზე მარილით დატვირთულმა ვაგონებმა. 28 სექტემბრამდე მოგროვდა 68 ვაგონი. ორ ოქტომბრისთვის ეს რიცხვი ავიდა 90 დე. მიუხედავათ ყოველდღიურ გახსენებისა, სამინისტრომ მარილი არ გადმოტვირთა".

ბოლოს, რადგან გზათა უწყებას ვეღარ შეუნახავს დატვირთული ვაგონები, თვით მოუხდენია განკარგულება მათი გადმოტვირთვისთვის დიდუბის საწყობებში. კიდევ მოდის ახალი ვაგონები მარილით და მათაც აქვე გადმოტვირთავენ.

ჩვენ ამ გარემოებას არ მივაქცევდით ყურადღებას, მაგრამ ერთი რომ ამ ჟამათ დიდი საჭიროებაა ყველგან ვაგონების. უვაგონობის გამო პური, რომელიც ფოთშია მოტანილი, თფილისამდე ვეღარ ჩამოგვიტანია. მეორე მხრით ვაგონებში მარილის შენახვა, როცა ქალაქებში მარილი არც ისე ბევრია, მიზანშეწონილ მოქმედებათ ვერ ჩაითვლება.

როცა სპეკულიანტები აჩერებენ გაძვირების მიზნით საქონელს, ეს გასაკვირი არაა. მაგრამ, როცა სამინისტრო, რომელსაც მარილის გაიაფება სურს, ვაგონებში აჩერებს მას, ჩვენ ვეღარ გაგვიგია: უმოქმედობას აქვს ადგილი თუ გაუგებრობას? მით უმეტეს გვაკვირვებს, როცა გზათა უწყება სთხოვს და ემუდარება სასურსათო უწყებას. რამდენადაც ვიცით, დღემდე ორივე უწყებას ერთი პირი უდგას სათავეში. ბოლოს და ბოლოს თავის თავს ხომ არ ებრძვის პატივცემული მინისტრი?

აქამდე ვიცოდით, რომ ხშირათ ერთი სამინისტრო ედავებოდა მეორეს. ეს საუწყებათაშორისო დავა იყო. მარა ერთი მინისტრი, რომ თავის თავს ებრძოდეს და საქმის მოგვარება ვერ მოეხერხებიოს, ეს ჩვენთვის პირველი შემთხვევაა. ჩვენ ველით, რას იტყვის სამინისტრო ამ საგანზე. საზოგადოებისთვის საყურადღებოა ასეთ ფაქტების გარ ვევა, საყურადღებოა ჩვენთვისაც.

რ.

## პრესა

„შრომა" ბეჯითად ადგია იმ აზრს, რომ ხალხი ბრბოა და რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. სწორეთ ამ საზომით მისდგომია ის საკითხს, რატომ არის, რომ სოც.-დემოკრატია პროლეტარიატის პარტიაა, მაგრამ გლეხობა მას მაინც მისდევს. „შრომა" ამბობს:

„ეს აიხსნება „მუშათა პარტიის" დიდი პოპულარობით ჩვენში, რა ღირებულების იყო ეს „პოპულიარობა" ამაზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი; ახლა კი საჭიროთ მიგვაჩნია თვით ამ პოპულიარობის წარმომშობი მიზეზები ავნუსხოთ. ასეთ მიზეზათ უნდა მივიჩნიოთ ის უზარმაზარი მუშაობა სოც. დემოკრატებისა ჩვენში, რომელიც მუშაობის რაოდენობის მხრით სოციალდემოკრატებს ანიჭებს პირველობას სხვა პარტიათა წინაშე".

„შრომას" ეს დიდ „პლიუსათ" მიაჩნია, მაგრამ ამ პლიუსში იმალება თურმე რამდენიმე ნაკლი. რომელია ეს ნაკლი? შრომა განაგრძობს:

„ერთი უმთავრესი ნაკლი ამ მუშაობისა გახლავთ ის, რომ მთავარი ძალა მათი ენერგიისა ყოველთვის იყო მიმართული მოწინააღმდეგის გაგებისაკენ, ვამბობთ გაგებისაკენ, რადგანაც კრიტიკის სახელით ვერ მოვნათლავთ იმას, რასაც სოციალდემოკრატები ამ შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე.

ხოლო მეორე უმთავრესი მინუსი გახლავთ ის თავაშვებული დემაგოგია, რომლისათვის მათ დღეს უხდებათ პასუხისგება".

ასეთია „შრომაში" მოკალათებულ უკაცრავად პასუხია სოციალისტების ფილოსოფია!

არ არის საკვირველი, რომ ასეთ ხალხს ჩვენი გლეხობა არ გაყვა, რადგან ხალხი ამა თუ იმ შემთხვევაში შეიძლება შესცდეს, მაგრამ მუდმივათ ვერ გაჰყვება უჭკუო ბელადებს.

* * *

კადეტების „რეჩი" ძალზე გახარებულია ესერ დაშნაკელების მიერ ქალაქის თვითმართველობაში მოხდენილ სკანდალით და ფიქრობს, რომ ეს სკანდალი გამოწვეულია სოციალისტების გაუტანლობით:

„სოციალისტები დანაწილდენ გაპოროტებულ ჯგუფებად და ერთმანეთს ხელიდან აგლეჯენ ძალა-უფლების ძვალს".

ეს თურმე იმის ბრალია, რომ სოციალისტებს არ შეუძლიათ შექმნან სახელმწიფო.

„მართალია, იმათი (სოციალისტების) მეცადინეობით შეიქნა საქართველო.

მაგრამ საკუთარ თავის უარყოფის საფასით!

საქართველო შექმნილია ნამდვილ ნაციონალიზმის საფუძველზე, იმპერიალიზმის ოპეკის ქვეშ დაყენებით. ძველი, მარქსის მიერ ნაანდერძევ ცოდვების დავიწყებით. ჩვენი სოც.-დემოკრატები მხოლოდ სახელით დარჩენ ასეთები.

სოციალიზმი და სახელმწიფოებრიობა ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ცნებაა და თუ სახელმწიფოში იბადებიან სოციალისტები, მათ სახელმწიფოს შექმნა არ შეუძლიათ".

რისი თქმა სურს კადეტების „რეჩს": მას არ მოსწონს ერთი ის, რომ საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა, ხოლო მეორე ის, რომ ხალხი შეგნებულია და კადეტებს არ მისჩანჩალებს თორემ აბა რომელი ჭკუიანი ადამიანი იტყვის, რომ ხალხს და მის პარტიას სახელმწიფოებრიობის შექმნა არ შეუძლია?

* * *

ამბობენ, ნაციონალ-დემოკრატები ორ ფრთათ გაიყვენ: ერთნი ვაჭართა იდეოლოგები არიან, მეორენი მემამულეებისო. ერთი შეხედვით კაცს მართლა ასე ეგონებოდა. მაგრამ არსებითად გაყოფა პარტიის კიდევ არ ნიშნავს მათ კონსოლიდაციას, ცალ-ცალკე სოციალურ ჯგუფთა წარმომადგენლებათ ჩამოყალიბებას. ძველი ცოდვები და ტრადიციები ორივეს აწევს თავზე, ორივენი ერთმანეთს ეჯიბრებიან იმ წრეების მობირებას, რომლებზედაც აქამდე ეყრდნობოდენ.

საქართველოს ნაც.-დემოკრატები ამ ჟამად დამოუკიდებლათ ედავებიან თავადების გულის მოგებაში. ბ. ვეშაპელს შეუძლია შურისძიებით წაიკითხოს შემდეგი სტრიქონები ა. ასიათიანის:

„სახელმწიფომ სასყიდელი უნდა გაიღოს ჩამორთმეულ მიწებში არა მარტო იმიტომ, რომ არ დასაჯოს მთელი საზოგადოებრივი წრე, არამედ იმიტომ უფრო, რო ამას მოითხოვს თვით სახელმწიფოს ინტერესები...

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს მესაკუთრეთა დაკმაყოფილება ჩამორთმეული მიწებისთვის?

მიწის ნორმა უნდა გადიდდეს, მაგრამ კერძო მესაკუთრეთ დიდძალი მიწა ჩამოერთმევათ ეს ნორმა ერთი ათამდე რომ გავადიდოთ".

მაშ ასე. ვეშაპელი აქამდე თხოულობდა მემამულეებისთვის სასყიდლის მიცემას, ა. ასათიანი ნორმის მიმატებასაც თხოულობს. ეჭვი არაა, ხვალ ბ. ვეშაპელი ნორმის ერთი ოცად გადიდებას მოითხოვს და ასე შეიქნება დოლი ყოფილ თავად-აზნაურთა გადმოსაბირებლად.

არსებითად კი ორივე ფრაქცია ტყვილა დამაშვრალა. დემოკრატიამ უკვე დაადგა გარკვეულ გზას და იგი იქიდან ნაციონალ-დემოკრატთა სურვილით არ გადაუხვევს. მემამულეებს ჩვენ სასყიდელს ვერ მივცემთ. მათ ეს არც ერგებათ. მარტო ღალის სახით ერთი ასჯერ მეტი აქვთ აღებული, ვინემ მიწაზე დაუხარჯავთ.

გარდა ამისა, სახელმწიფო ინტერესები ოდნავადაც არ თხოულობენ ერთი მუჭა მემამულეების ფულით გავსებას. ისინი ხომ ვიცით მაინც, სად და როგორ დაფლანგვენ მიღებულს. გლეხობა კი მიწას ნაყოფს გამოაღებიებს, რითაც თვითონაც ისარგებლებს და ქვეყანასაც შესძენს სიმდიდრეს.

აი ამიტომ ჩვენ ვერც იმის მომხრე ვიქნებით, რომ სახელმწიფო ვალით ავავსოთ მემამულეების ჯიბის გულისათვის. ბოლოს ხომ ესეც გლეხებს დააწვებოდა კისერზე. ამიტომ ბ. ვეშაპელს და ა. ასათიანს თამამათ შეუძლიათ მეტიც დაპირდენ მემამულეებს. შეუძლიან ოქროს გორები უქადონ. სულ ერთია მათი თამასუქის განცხადება—ენუქას ანდერძის განაღდების მსგავსია. სიტყვა კი იოლი სათქმელია.

## სალამი მესხეთს!..

სალამი მშვენიერო მესხეთო და ჯავახეთო! სალამი ტყვეობის გალიაში მომწყვდეულო და მონობის ბორკილებით შეჯაჭვულო ტურფა მხარევ! თქვენ, უკანასკნელო ქართველო გლეხებო, გუშინ რომ ოსმალთა უღელი გედგათ და ცრემლებით ემუდარებოდით შველას ქვეყანას, დღეს ბოლშევიკურ(?) თქვენთან, ალერსი მოგვაქვს იარების გასაკურნავათ და აოხრებული კუთხეების ასაღდგენათ...

ნანგრევთა შორის დამარხულო მესხეთო, გუშინ მგლოვიარევ, რომელმაც დაკარგე იმედები და შენი შვილები მათხოვრებათ გაუშვი საქართველოს ტყეღრეებში, დღეს გაგიღიმა კვლავ მესხეთის მშვენიერმა მზემ და წყვდიადი, რომელიც გველისებურათ ეხვეოდა ყელზე შენს ლოყა-დაკაწრულ დედას, გაფანტა მისმა სხივებმა.

ჩვენი ერის კულტურის დიდებავ, პოეზიის მნათობის შოთას მშობელო მხარევ, ისე როგორც 90 წლის წინათ მოგხსნეს კისრიდან ოსმალთა უღელი, დღესაც, სამი თვის ცრემლების და მწუხარების შემდეგ, მიდიან ოსმალთა ურდოები და შენს მშობლიურ მხარეს უერთდები, მიგიკრავს გულზე შენით მგლოვიარე დედა.

ოჰ, რაოდენ სიხარულს იგრძნობს დღეს ბაკურიანის ტყეებში დავრდომილი ჯავახელები, რომელთა ცრემლი მიწას ალღობა და შორს გადახვეწილი ლტოლვილები მიაშურებენ თავის ძვირფას კუთხეს, ცრემლებს დააფრქვევენ შინ დალუპულებს და სამგლოვიარო ჩადრს მოხსნიან დღესაც ტყვეობაში მყოფ სოფლებს: შობარეთს, ძველს, მუსხს, ვალეს, უდეს, არალს და ახალციხეს, მათ სამლოცველო ახალციხეს!

წყევლა და კრულვა ოსმალთა ნაშთებს, რომელნიც დღეს გადააბიჯებენ ახალციხის კარებიდან და მოხსნიან მახვილს, რომელიც გულში ესო მშობლიურ დედას.

სალამი მესხეთო! სალამი ჩვენო თვალმარგალიტო! მოვდივართ თქვენთან, მოვიჩქარით, როგორც ბავშვები და დაობლებულნი, რომლებსაც დაჰკარგეს დედა და მის ძებნაში ცრემლებით დნებოდენ. ეხლა კი მშვიდათ ჩაგიკრავთ გულში და ღიმილით მხურვალე სალამს გიძღვნით.

ლ. რუხაძე და შ. მაღლაკელიძე.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

10 ოქტომბერი.

**ბერლინი.** სტატს სეკრეტარმა ლანსინგმა გადასცა შვეიცარიის რწმუნებულს ვილსონის პასუხი გერმანიის ნოტაზე: „მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ პრეზიდენტმა მიიღო თქვენი ნოტა და მე დავალებული მაქვს პრეზიდენტიდან გთხოვოთ თქვენ გადასცეთ გერმანიის რეიხს კანცლერს შემდეგი: სანამდის პრეზიდენტი პასუხს გასცემს გერმანიის ნოტაზე, პასუხს პირუთვნელს და პირდაპირს, შეერთებულ შტატების პრეზიდენტი საჭიროთ სთვლის უზრუნველყოს თავის თავი ნოტის ნამდვილი შინაარსით თუ რეიხს-კანცლერს ჰგონია, რომ გერმანიის საიმპერატორო მთავრობა მიიღებს იმ პროგრამას, რომელიც პრეზიდენტმა წარუდგინა შეერთებულ შტატების კონგრესს 8 იანვარს, პრეზიდენტი ვალათ რაცხს თავისთავს განაცხადოს დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ, რომ მას არ შეუძლიან მიმართოს საზავო წინადადებით იმ მთავრობებს, რომელნიც ცენტრალურ სახელმწიფოების წინააღმდეგ იბრძვიან იმ დრომდე, სანამ მათ ტერიტორიაზე გერმანელების ჯარები იმყოფებიან. ნდობით შეგვიძლიან ყოველივე განცხადება განვიხილოთ მაშინ, როდესაც ცენტრალური სახელმწიფოები დასთანხმდებიან თავიანთი ჯარები დაუყონებლივ გაიყვანონ ყველა დაპყრობილ ტერიტორიებიდან". პრეზიდენტი აგრეთვე ეკითხება: კანცლერი ამბობს მხოლოდ იმ მთავრობების სახელით, რომელნიც აქნობამდეს აწარმოებდენ ომს თუ არა? ის სთვლის პასუხს ამ კითხვაზე ფრიად მნიშვნელოვანათ.

**მოსკოვი.** ცენტრ. აღმ. კომ. ბიულეტენი: კარაპულის რაიონი. განზრახვა მოწინააღმდეგისა გაერღვიათ ჩვენი ხაზი, აგრიზთან მტრის დამარცხებით დამთავრდა. ჩვენ დავიპყარით რამდენიმე სოფელი. სამარის რაიონში ჩვენ დავიპყარით სტავროპოლ სამარსკი. ურალის რაიონში დავიპყარით რამდენიმე სოფელი. ბობროვთან ჩვენმა ნაწილებმა დაიხიეს. სირიაში ფრანგებმა დაიპყრეს ბეირუტი.

11 ოქტომბერი.

**ბერლინი.** სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტი, კამბრესა და სენკანტენთან ჩვენ დავიხიეთ უკანა პოზიციებზე. კონტრ-იერიშით ჩვენ უკან დავიბრუნეთ სერევალლერომი და ესნის ორივე მხარის მაღლობებში, მთელი გუშინდელი დღე იერიშებით მოდიოდენ ლე კატოს მიმართულებით. შამპანში იერიშები მოგერიებულ იქნა სენ ეტიენს ორივე მხარეს. მაასთან ამერიკელებმა და ინგლისელებმა განაახლეს შემოტევა. კორნეი ხელმეორეთ ავიღეთ. ეირსა და მაასის შემოტევას აზრათ ჰქონდა აეღო სომმერანსი. აქ სოფლები ჩვენ დაგვრჩა. მაასის აღმოსავლეთით მტერი უკუვაგდეთ; ავიღეთ სივრი. ბომენის ჩრდილოდასავლეთით და აღმოსავლეთითაც მტერი დამარცხდა და უკუქცეულ იქნა.

**კონსტანტინოპოლი.** სამხედრო მოხსენება. არავითარი შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა არც ერთ ფრონტზე.

**სოფია.** (გამოგზავნილა გერმანიის რადიო-სადგურის მიერ) შესდგა კრება პოლკოვნიკ დრუსსის და ორი ინგლისელი აფიცრის თანადასწრებით. დღის წეს-რიგში იდგა ბულგარეთის რკინის და შარა გზების, ნავთსადგურების, ტელეფონის, ტელეგრაფის და სხვ. შეთანხმების სახელმწიფოთა საკანტროლო კომისიის მიერ მიღება. ამას გარდა იყო ბჭობა იმის შესახებ თუ როდის დაეკავათ სტრატეგიული პუნქტები მათ ჯარებს. 11 ოქტომბერს უნდა მივიდეს სოფიაში ფრანგთა პოლკი.

**ბერლინი.** „ჩრდილოეთ-გერმანიის გაზეთი" გერმანიის პარლამენტის მიერ გაგზავნილ საზავო ნოტაზე ვილსონის პასუხის შესახებ სწერს: „შეერთებულ შტატების პრეზიდენტის პასუხი მოვიდა შემოკლებით აქაურ ოფიციალურ წრეებში. მაინც და მაინც ეს არ გვაძლევს საბუთს, თითქოს შემდეგი საზავო ნაბიჯების გადადგმა შესაძლებელი არ იყოს.

**სტოკჰოლმი.** გაზეთებს დიდი იმედი აქვთ ცენტრალური სახელმწიფოების საზავო ნაბიჯებისა. „ტაგებლადეტი" სწერს: „საკითხავია, იქნებიან თუ არა ეხლაც შეთანხმების სახელმწიფონი გაჩუმებულ-

ნი"? გაზ. „სვენსკა დაგბლადეტი" სწერს: „ეხლა გამოირკვევა, იკისრებენ თუ არა შეთანხმების სახელმწიფონი პასუხისმგებლობას ხელ ახლად ზავის წინადადების უარსაყოფად"? სტოკჰოლმის გაზეთი „ტიდნინგენი" აღნიშნავს, რომ ცენტრალურ სახელმწიფოთა ნაბიჯი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ვილსონს და შეთანხმების სახელმწიფოებს.

**სტოკჰოლმი.** ამერიკაში დაიწყო აგიტაცია ომის გაგრძელების სასარგებლოდ. ნიუ-იორკში გაიმართა დემონსტრაციები ომის გასაგრძელებლად.

**ბერლინი.** რეიხსტაგის კრება დანიშნულია 11 ოქტომბრისთვის. სამხედრო მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ გერმანიის სამხედრო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

**ციურიხი.** „ციურიხის გაზეთს" ატყობინებენ, რომ ლორდმა ლანსდოუნმა ინგლისის მთავრობას თავისი დახმარება შესთავაზა, როგორც საზავო მოლაპარაკების კარგმა შუამავალმა.

საფრანგეთის საზღვაო მთავრობამ გრძელი ცნობები გამოაქვეყნა, საიდანაც სჩანს, რომ გერმანიის საზღვაო ბრძოლას ამ ბოლო დროს ძალიან მკაცრი ხასიათი მიუღია. უფრო გახშირდა ინგლისის გემების დაღუპვა.

ინგლისის მუშათა კლასის ლიდერებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ საჭიროა საზავო წინადადების მიღება.

კიევის პრესა გამოსთქვამს იმედს, რომ გერმანიის საზავო წინადადება ნიშნავს ომის გათავებას. ჰფიქრობს, რომ მისი უარყოფა შეუძლებელია. „კიევსკაია მისლი" ჰფიქრობს, რომ ამ წინადადებით დაიწყო ახალი ხანა კაცობრიობის ცხოვრებაში.

**ბერლინი.** ისპანიასა და გერმანიის შუა მოლაპარაკება გრძელდება. ისპანია რჩება ნეიტრალური. ზოგიერთი ფრანგული გაზეთის აზრი, ვითომც ისპანია შეუერთდება შეთანხმების სახელმწიფოებს, შეუძლებელია განხორციელდესო.

**ლუგანო.** იტალიის მთავრობამ მოწოდებით მიმართა ჯარს, რომ იყვნენ რაინდები და ელოდნენ იტალიის გამარჯვებას.

**ვენა.** გუშინ დაწყებული რკინის გზის გაფიცვა შეთანხმებით დამთავრდა.

გერმანიის რადიო-სადგურის ცნობა. საფრანგეთის გავასის სააგენტო იტყობინება, რომ სამშვიდობო მოლაპარაკების ასლი, რომელიც წარდგენილია პარიზში ჯერ ოფიციალურად არ არის გამოქვეყნებული. ვილსონმა განმარტა, რომ ზავის ჩამოგდება შესაძლებელია ომის საშვალებით და არა სხვადასხვა კომპენსაციებით. აშკარაა, რომ გავასის შენიშვნის მიზანია ცუდი ატმოსფერის შექმნა, ვილსონის საზავო მოლაპარაკების წინაამდეგ.

ბულგარეთის მეფემ ფერდინანდმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს სთქვა: „ბულგარეთში მომხდარი უკანასკნელი ამბები ცხადს ყოფენ, რომ ყველა ცნობები ჩემს შესახებ გადაჭარბებულია და სიმართლეს მოკლებულია. ტანისამოსისა და სურსათის კრიზისმა, ჯარის მოქანცულობამ და შინაურმა პოლიტიკურმა დაბრკოლებებმა ნიადაგი მოუმზადეს ზავის ადრე ჩამოგდებას".

**ნიუ იორკი.** მორგანში აფეთქების დროს მოკვდა 94 კაცი, დაიჭრა 180.

**ბერლინი.** ოფიციალური ცნობა. გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის წყალქვეშა ნავებმა ხმელთაშუა ზღვაში კვლავ ჩასძირეს მოწინააღმდეგეთა 30,000 ტონიანი ხომალდი.

**ჰააგა.** ჰოლანდიის მთავრობა იმ აზრისაა, რომ ჯერ არ დამდგარა დრო, რომ მან საზავო მოლაპარაკებაში შუამდგომლობა იკისროს.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ინგლისის ფინანსთა მინისტრმა მოწოდებით მიმართა ხალხს გაანაღდონ შინაური „თავისუფლების სესხი".

**ბაზელი.** აქ მოსული ცნობები მოწმობენ, რომ ფიქრების გაფიცვა ინგლისში გრძელდება.

## ამხანაგებსა და მკითხველებს

სრული წელიწადი ნახევარი არის, რაც რომ ქუთაისში პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით გამოდის ყოველდღიური გაზეთი „სოციალ დემოკრატი". ისე როგორც ყოველთვის ეხლაც მეტად ცუდ პირობებში გვიხდება მუშაობა. მართალია, ცენზორისა და ჟანდარმების აღარ გვეშინოდა, მარა მუშათა პრესის მეორე მუდმივი ბედი—უსახსრობა, მატერიალური გაჭირვება, იგივე დარჩა რაც რევოლიუციამდის იყო და ზოგიერთ შემთხვევაში უარესიც.

მიუხედავათ ამისა, რედაქცია ცდილობდა და ყოველ ღონეს ხმარობდა რათა პირნათლათ შეესრულებია თავისი მოვალეობა პარტიისა და მკითხველი საზოგადოების წინაშე. მაშინ როდესაც რედაქციაში აუცილებელი იყო 4—5 თანამშრომელი, ორი და ხშირათ ერთი კაცი მუშაობდა.

რომ მუშები—ასოთ-ამწყობები დაეკმაყოფილებია, მათთვის არსებობის საშვალება მიგვეცა, ჩვენ რედაქციისა და კანტორის მოსამსახურეები ვცდილობდით და მუშების მოთხოვნილებას ვაკმაყოფილებდით. მაშინ, როდესაც უფროსი ასოთ-ამწყობი მეტრანპაჟი იღებდა თვეში 600 მანეთს, გაზეთის მთავარი რედაქტორი იღებდა და იღებს 300 მან. მაშინ, როდესაც ყველაზე უმცროს ასოთ-ამწყობს ეძლევა 315 მანეთი, კანტორის მოსამსახური, რომელიც დღე-ღამე მუშაობს—250 მან. ღებულობს. თავის მხრივ ქუთაისის პარ. კომ. თავის შემოსავლის უმთავრეს ნაწილს გაზეთს ახმარებდა და ყოველთვიურათ რამდენიმე ათასი მანეთის დაღება უხდებოდა.

სამწუხაროთ ვერც რედაქციის თავგანწირულმა მუშაობამ და ვერც პარტიული კომიტეტის მიერ მიღებულმა ზომებმა, რათა გაზეთს ეცოცხლა და მკითხველისათვის ცოცხალი სიტყვა მიგვეწოდებია, არ გასჭრა და საქმეს ვერ უშველა.

ცხოვრება გაძვირდა, ქაღალდის ფასი ერთი ათად გაიზარდა, სტამბამ დასაბეჭდის ფასი მოგვიმატა და ასოთ-ამწყობებმაც სექტემბერში ახალი მოთხოვნილება წამოგვიყენეს და 1 ოქტომბრიდან 50 პროც. მომატება მოითხოვეს.

ერთი თვის წინედ აგვისტოში მათ 30 პროც. მივუმატეთ; რედაქციას მაშინაც ძლიერ უჭირდა, მარა გაზეთის დახურვას ამჯობინა, კიდევ გაეჭირვებია შეემცირებია კანტორაში მოსამსახურეთა რიცხვი და მუშები დაეკმაყოფილებია.

სულ ჩვენს გაზეთზე 9 ასოთ-ამწყობი მუშაობდა და იღებდა თვეში 3,900 მან. ახალი მოთხოვნილების თანხმათ მათთვის უნდა მოგვემატებია 2000 მანეთი. ამ უკანასკნელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჩვენ ვერ შევსძელით, ხოლო ასოთ-ამწყობებმა ძველ პირობებში დარჩენა შეუძლებლათ დაინახეს, ზოგიერთმა მათგანმა მუშაობას თავი დაანება და შტატი დაიშალა.

ამგვარათ 1 ოქტომბრიდან იძულებული შევიქენით შეგვეჩერებია გაზეთის გამოცემა.

პარტიულმა კომიტეტმა და რედაქციამ ამ ათი დღის განმავლობაში კიდევ მიიღო ზომები რათა განეახლებია გაზეთის გამოცემა, მარა ვერ შესძლო.

ეს მის ძალას აღემატება.

ასეთია მუშათა გაზეთის მწარე სინამდვილე და ხვედრი. რედაქცია თავისუფლების დროსაც იძულებული ხდება უსახსრობის გამო შეაჩეროს გაზეთის გამოცემა.

ძნელი არის ასეთ ხანაში, როცა ცხოვრება წამობით იცვლება გაზეთის უქონლობა. დაღონებული რედაქცია ეთხოვება თავის მკითხველს, მარა ეთხოვება დროებით, რადგან იმედი აქვს, რომ ამხანაგი მკითხველები თავის გაზეთს უყურადღებოთ არ დატოვებენ და საერთო ძალით საშვალებას მოგვცემენ ისევ განვაახლოთ გაზეთის გამოცემა.

გაზ. „სოც. დემოკრატის" რედაქცია.

## ქალაქის საბჭო

9 ოქტომბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს იაგჯიანი. ხმოსანი ხუდადოვი აცხადებს, რომ 7 ოქტომბრის სხდომაზე მონაწილეობას ღებულობდა კენჭის ყრაში ხმ. პ. გელეიშვილი, რომელიც ამ ჟამათ ხმოსნად არ ითვლება, ხუდადოვს შემოაქვს შეკითხვა: იძლევა თუ არა საბაბს ეს გარემოება, რომ ხელახლა გადასინჯულ იქნას ხსენებული სხდომის დადგენილება?

**რ. არსენიძე** განმარტავს, რომ მოხდა გაუგებრობა, რომ გელეიშვილი, რომელიც ეხლა ხმოსნათ არ ითვლება მონაწილეობას იღებდა კენჭის ყრაში, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ სთვლის საქმის მდგომარეობას ვინაიდან ხმები ისე განაწილდა რომ ერთ ხმას არსებითი მნიშვნელობა არ ქონია. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა რომ საკითხი მოწყურულია და წინანდელი დადგენილება ძალაში რჩება.

**ქალაქის თავის, მისი ამხანაგების და გამგეობის წევრთა არჩევა.**

სოციალ დემოკრატიული ფრაქციის სახელით გეპშტეინი აცხადებს, რომ საჭიროა გამგეობაში არჩეულ იქნას 9 კაცი, რადგანაც პრაქტიკის მიხედვით ეს რიცხვი საკმარისია.

**პ. გოთუა** (ნ. დ.) მოითხოვს არჩევნები მოხდეს არა პარტიული პრინციპის მიხედვით, არამედ საქმიანობის პრინციპით. წინადადება შემოაქვს არჩეულ იქნას გამგეობაში მხოლოდ 6 კაცი. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა, არჩეულ იქნას გამგეობა 9 კაცისაგან და ამ რიცხვში შევიდეს ქალაქის თავიც

**ტერ პეტროსიანი** დაშნაკცუტიუნის პარტიის სახელით აცხადებს, რომ ფრაქციას 7 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციის შემდეგ შეუძლებლად მიაჩნია გამგეობაში შესვლა და კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

ასეთივე შინაარსის განცხადებას აკეთებს ხმ. თუმანოვი სოც. რევოლიუციონერთა სახელით.

**ივ. გვეძოკორი.** ამ გაჭირვების და კრიზისის დროს ეს ვაჟბატონები გაურბიან პასუხის მგებლობას და მუშაობას და იმის მაგივრად, რომ ხალხს აუხსნან თავისი აზრი, ვიტყვი პირდაპირ დანაშაულობა—რაღაც მაღალ პოლიტიკაზე ლაპარაკობენ. ჩვენი ფრაქცია არ გაურბის პასუხისმგებლობას, ხალხისთვის მუშაობასა და კისრულობს მთელ მუშაობას ქ. ტფილისის მოქალაქეთა სასარგებლოდ. ქალაქის თავად ორატორი ასახელებს ნ. ზ. ელიავას.

**ხუდადოვი** აცხადებს, რომ ს. რევოლიუციონერების ფრაქცია იმიტომ არ არის თანახმა შევიდეს გამგეობაში, რომ მას არ უნდა იყოს პასუხისმგებელი იმ დამღუპველი პოლიტიკისა, რომლის წარმოებას საბჭო შეუდგა.

**ამირაგოვი** კადეტების სახელით აცხადებს, რომ ისინი კენჭის ყრაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

**გოთუა.** პერსონალურად ნაც. დემოკრატების ფრაქცია მხარს უჭერს ელიავას კანდიდატურას.

**გ. ნათაძე** ს. რევოლიუციონერთა მეორე ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ მათ ასეთ კრიტიკულ მომენტში შეუძლებლად მიაჩნიათ პასუხისმგებლობაზე ხელის აღება, თუმცა სოც. დემ. ბევრში არ ეთანხმებიან.

**არუტუნოვი** ხალხის თავისუფლების პარტიის სახელით აცხადებს, რომ გამგეობაში შესვლა შეუძლებლად მიაჩნიათ, მაგრამ კენჭის ყრაში მონაწილეობას მიიღებს ფრაქციაო.

**ი. ბარათაშვილი** (ს. ფ.) ვინც დღეს ჩვენთან არ არის მუშაობაში, ის მტერია და მართლაც პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებს ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ და როდესაც ასე იქცევა ხუდადოვი, მე შემიძლია უთხრა: ბატონო ხუდადოვო, თქვენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არა ხართ. რაც შეეხება დაშნაკცაკანებს, მათ ზნეობრივი უფლება არა აქვთ უარი სთქვან პასუხისმგებლობაზე, ისინი ჩვენში ცხოვრობენ, ჩვენში უნდა იცხოვრონ და აიიტომ ეს საბოტაჟი არ გამოადგებათ. ჩვენი ფრაქცია თუმცა გამგეობაში მონაწილეობას არ იღებს, მარა მთელი თავისი ძალით დაეხმარება იმ მუშაობაში, რომელიც ესოდენ მძიმე და პასუხსაგებია დღევანდელ მომენტში.

შემდეგ მოხდა არჩევნები ქალაქის თავის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ნ. ელიავა (41 ხმით 3 წინააღმდეგ) მის ამხანაგათ კონიაშვილი. (41 ხმ. 3 წინაღმდ.) გამგეობაში: ფირუმოვი და ბესელიძე. სოც. რევოლიუციონერების მხრით ჩერქეზიშვილი. რუს. ფრაქციის მხრით ხურამოვიჩი.

ახლად არჩეული ქალაქის თავი ელიავა მადლობას უძღვნის საბჭოს ნდობისათვის და ამბობს, რომ ძველი გამგეობა საყვედურის ღირსი არ არის. მას მეტად მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა და რის გაკეთებაც შეეძლო, გააკეთა. რაც შეეხება მომავალ მუშაობას, რაც შესაძლებელი იქნება—გაკეთდება ახალი გამგ. ხაზი ისეთივე იქნება, როგორც ძველის. ბოლოს ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ ის ფრაქციები, რომლებმაც გამგეობაში შესვლაზე უარი სთქვეს, ახლად არჩეულ გამგეობას დახმარებას აღმოუჩენენ მუშაობაში. ს.

## ახალი ამბები

დღეს, საღამოს ხრულ 6 საათზე, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში, დანიშნულია შეერთებული სხდომა ტფილისის კომიტეტის და ყველა რაიონულ კოლექტივებისა, რომელზედაც საოლქო კომიტეტის წარმომადგენლები გააკეთებენ მომავალ პარტიულ ყრილობის შესახებ სხვადასხვა კითხვებზე მოხსენებებს. ყველა წევრების დასწრება ხსენებულ ორგანიზაციებიდან სავალდებულოა

✦ **ნავთი.** საქართველოს მთავრობის კომისია გაემგზავრა ბაქოში ნავთის გამოტანის შესახებ მოლაპარაკების გასამართავად.

✦ **ნავთის მონოპოლიის პროექტი.** ფინანსთა სამინისტროში მუშავდება პროექტი, როგორც შემოსავლის, ისე ადგილობრივი ნავთის მონოპოლიის შესახებ.

✦ **ოტომანის იმპერიის** დიპლომატიურ წარმომადგენელმა აბდულ ქერიმ ფაშამ შუამდგომლობა აღძრა გარეშე საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა დაუბრკოლებლივ იქნეს გაშვებული მატარებელი მაზუთით, რომელიც ოტომანის მთავრობამ იყიდა ადერბეიჯანის მთავრობისაგან და რომელიც მიდის ალექსანდროპოლსა და ბათუმში ოსმალთა ჯარის საჭიროებისათვის. შუამდგომლობა გადაეცა განსახილველად ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს.

✦ **მარილი** 2 ოქტომბერს ტფილისში ჩამოვიდა 90 ვაგონი მარილი. 11 ოქტომბერს კიდევ მოელოდენ 26 ვაგონს.

✦ **სპეკულიაციასთან ბრძოლის** კანონის ცხოვრებაში გასატარებლად მილიციის უფროსმა წინადადება მისცა ყველა სახლის პატრონებს, აცნობონ კომისარიატს რა საწყობებია მათ სახლებში.

✦ **სამხედრო სამინისტროს სტამბის** უფროსმა ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსს შემდეგი აცნობა: თანახმად სამხედრო სამინისტროსადმი მთავრობის ბრძანებისა ყველა სპეციალისტ ჯარისკაცები: ამწყობნი, მბეჭდავნი, ჩამომსხმელნი, მკაზმავნი და მემანქანენი სამხედრო ნაწილებიდან, სამმართველოებიდან და დაწესებულებებიდან სამხედრო სამინისტროს სტამბაში უნდა გაიგზავნონ. ბევრი სამხედრო სამსახურში გასაწვევი ზემოხსენებული კატეგორიის სპეციალისტები ტფილისის კერძო სტამბებში მსახურებენ. სტამბის უფროსი სთხოვს მილიციის უფროსს აიძულოს სტამბის პატრონები, რომ ჯარში გასაწვევ ზემოაღნიშნულ სპეციალისტებს ანგარიში გაუსწორონ და სამხედრო უწყების უფროს გაუგზავნონ ჯარში ჩასარიცხად და შემდეგ სამხედრო სამინისტროს სტამბაში გასაგზავნათ.

✦ **საქართველოს დემოკრატიული** რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს კონკურსს სახელმწიფო ღერბის შესახებ შემდეგი პირობებით: 1) ღერბზე უნდა იქმნეს გამოხატული თეთრი გიორგის სახე ცხენზე მჯდომარე: უგველეშაპოთ, 2) ღერბი უნდა შესრულებული იყოს ქართული სტილით, 3) ღერბში უნდა იყვეს მხოლოდ ზოგადათ დაცული ღერალდიური კანონები, 4) რადგან საზოგადოთ ღერბის სახე იხატება ფარზედ, თვით ფარის ფორმის არჩევა უნდა იქმნეს თავისუფალი, 5) ვადა კონკურსისა სამი კვირაა, 6) პრემია ერთია: ღერბის ავტორს უნდა მიეცეს 3000 მან., 7) ჟიური შესდგება საქართველოს პარლამენტის ხელოვნების კომისიისაგან, მწერალთა კავშირისა, ისტორიკოსთა და ხელოვანთა საზოგადოების წარმომადგენლებისაგან, 8) ღერბის პროექტი უნდა წარედგინოს მთავრობის თავმჯდომარეს.

✦ **გადასახლების მომწყობი ბიურო.** კვირას 13 ამ თვეს მუშათა კლუბში მიხეილის ქუჩა № 65, დილით 11 საათზე იწვევს კრებას ყველა იმ პირთა, ვისაც სურვილი აქვს ყარაიაში ჩასახლების. წარსულ ხუთშაბათის კრების მიერ არჩეული კომისია გააკეთებს მოხსენებას გადასახლების პირობების შესახებ და ყარაიაში ადგილების დასათვალიერებლათ წარსული დელეგატების პასუხს მოისმენს.

✦ **ტრამვაი გერმანელებისათვის.** ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა დააკმაყოფილოს გერმანიის კომენდატთა გამგეობის თხოვნა და დაუთმო მათ ტრამვაის ვაგონი დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე, რომელიც ყოველ 3 საათის შემდეგ გერმანელ ჯარისკაცებს წაიყვან-გადმოიყვანს ნავთლუღსა და ერევნის მოედანს შუა ფულის გადახდით.

✦ **გენ მაყაშვილი** და მთავრობის რწმუნებული ლეო რუხაძე გუშინ გაემგზავრენ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში.

✦ **ხელოვნება.** სამუსიკო საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა დაარსოს სკოლასთან მომღერალთა სტუდია, რომელიც შეისწავლის ოპერებს და ყოველგვარ რეპერტუარს, ამასთანავე აცხადებს რომ ქართულ ოპერებისათვის არსებ. ქალ-ვაჟთა გუნდს. მსურველთ შეუძლიანთ ქარ. მოსიკალურ სკოლაში ჩაწერა დილის 11—2 ს. და საღამოს 5—7 ს (სლეპცოვის ქ. № 4.)

✦ **საღამო დისპუტი.** დღეს საღამოს 8 საათზე კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პოლიტიკური დისპუტი. გიორგი მახარაძე წაიკითხავს მოხსენებას: ახალ-შობილ საქართველოს სოციალ პოლიტიკური ვითარება; ანუ „ქალის ბედის" „უკულმართობა და საქართველოს ტრაგიზმი". მოხსენების შემდეგ ოფიციალურ ოპონენტებათ და ოპონენტთა ოპონენტებათ გამოვლენ საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციათა წევრნი: ახმეტელი ალ. (რად. დემ.), ვეშაპელი გრ. (დამოუკიდ. ნაც. დემ.), ონიაშვილი დ (სოც. დემ.), ჩერქეზიშვილი ი. (სოც.-რევოლ.), ჩიქოვანი დ. (რად.-დემ.), მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სხვა პარტიების წარმომადგენლებიც. (მოხსენება ეხება სომეხთა ერის ისტორიულ ტრაგიზმსაც.) დასაწყისი 8 საათზე.

✦ **ხოლერა.** 10 ოქტომბერს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 2 ხოლერიანი; მორჩა ორი. ამ დღეს ქალაქის საავადმყოფოში იმყოფებოდა 42 ხოლერიანი და 10 საეჭვო ავათ მყოფი.

✦ **დატუსაღება** ტფილისის მილიციის უფროსის განკარგულებით ქუჩაში წესიერების დარღვევისათვის დატუსაღებულ იქმნა გ. ბიჭიაშვილი; როგორც სახელმწიფოსათვის მავნე და საშიში პირნი 3 თვით დატუსაღებულნი იქმნენ: ა. კოზლოვსკი, ს. მაჭავარიანი, ს. სოკოლოვი, მ. მარკაროვი, ი. მურადაშვილი, შ. და კ გოგუები.

✦ **ქურდობა** 4 ოქტომბერს ღამით, ნავთლუღში, გ. თაქთაქიშვილს მოპარეს 8 სული მსხვილფეხი საქონელი 15,000 მ. ღირებული მე-6 კომისარიატის კომისარმა დაკარგული საქონელი აღმოაჩინა სოფელ კარატეპში, ტფილისის მაზრაში. ქურდობაში დამნაშავე ძმები დათაროვები მიიმალენ. დატუსაღებულია ერთი ქურდობაში მონაწილეთაგანი ბონია თოვი.

— 9 ოქტომბერს ღამით ნ. პეტერის ბინიდან, ელისაბედის ქუჩა № 78, ბოროტ-მოქმედებმა წაიღეს 9,700 მანეთის ძვირფასი ნივთები.

✦ **სამტრედიის რაიონის** რკ. გზის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობისაგან დეპეშა მივიღეთ, სადაც იგი გამოსთქვამს ღრმა აღშფოთებას კონტრრევოლიუციონერთა ჯგუფის შეთქმულობის გამო და იწონებს იმ ნაბიჯებს, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერაა გადადგმული შეთქმულობის სალიკვიდაციოთ.

### კრებები.

— კვირას, 13 ოქტომბერს 1918 წ. დილის 11 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილების დარბაზში, პეტრე დიდის ქუჩა № 8, დანიშნულია საქართველოს პარლამენტის და ყველა სამინისტროების კანცელიარიებში მოსამსახურეთა საერთო კრება. კრების საგანია: 1) ახლად დაარსებულ ეკონომიურ საზოგადოების წესდების განხილვა დამტკიცება. 2) მუდმივ გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა. 3) წარმოების დაწყება. 4) მთავრობისაგან სესხის აღების საკითხი. ვინც ჯერ არ ჩაწერილა საზოგადოების წევრათ, ჩაწერა შეუძლიათ კრების დღეს.

— დღეს, 12 ოქტომბერს, სწორედ 12 საათზე შესდგება არაჩვეულებრივი კრება თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტისა. რადგანაც ჩქარი და სერიოზული საკითხებია გადასაწყვეტი, ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლივ დროზე გამოცხადდენ.

— დღეს, 12 ოქტომბერს დილის 11 საათზე დანიშნულია უმუშევარ ფარმაცევტთა საერთო კრება. ვინაიდან კრება მეორეჯერ ინიშნება—კანონიერი იქნება მიუხედავად წევრთა რაოდენობისა. ვინც არ გამოცხადდება, გამორიცხული იქნება რიგიდან. სთხოვენ ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ ფარმაცევტთა კავშირის შენობაში პეტრე დიდის ქუჩაზე № 18.

— დღეს, საღამოს 5 საათზე მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება ტფილისის ორგან. ს. დ. ქალთა კომიტეტის კრება.

— დღეს, 12 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ შენობაში (მიხაილ ქ. სახლ. 91) შესდგება ქართველ ლექტორთა მორიგი კრება. საჭიროა ყველა ლექტორები დაესწრის.

— შაბათს, 12 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე მე-2 რაიონის კოლექტივის ბინაზე (სახალხო სახლი) დანიშნულია ქალთა კომიტეტის კრება. ს. დ. მ. პ. რადგანაც დღის წეს-რიგში ფრიად ყურადსაღები კითხვებია სთხოვენ ამხანაგებს აუცილებლივ დაესწრონ კრებას.

— კვირას, 13 ოქტომბერს მუშათა კლუბში (მიხეილის ქუჩა) პროფესიონალურ კავშირთა საბჭოების სასარგებლოთ გაიმართება დიდი სეირნობა-კონცერტი ნ. ნ. ჩერეპნინის, გროტის, ბენდიცკის, ფიდელმანის და კონსერვატორიის მომწაფეთა მონაწილეობით.

— კვირას დილის 11 საათზე მე-6 სავაჟო გიმნაზიაში (ვერა, უდელის ქუჩა, № 3) შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა ტფილისის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. ვინაიდან გასარჩევია ფრიად საჭირბოროტო კითხვები, ამხანაგებს ვთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ.

### პროვინციის ქრონიკა.

**ფოთი.** 6 ოქტომბერს ფოთში ყუბანის მხრიდან სასურსათო სამინისტროს წარმომადგენლის ვ. შ. ცინცაძის ხელმძღვანელობით მოიტანეს 25 ათასი ფუთი ხორბალი. იტვირთება მეორე ამდენივე და ამ დღეებში მოიტანენ ფოთში.

აქ დაიჭირეს 18 „ბალონა" (თითო ბალონა 12 ფუთია) საპონის სოდა. რომელშიაც აღმოჩნდა ზღვის სილა.

## მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთან ბაქოში დაარსდეს მისი თავმჯდომარეობით საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტი ამ კომიტეტში უნდა შევიდნენ ფინანსთა ვაჭრობა-მრეწველობისა და გზათა მიმოსვლის სამინისტროების და სახელმწიფო კონტროლიორის წარმომადგენლნი, აგრეთვე ამ კომიტეტმა დანიშნოს ბაქოში მცხოვრები ერთი ქართველი.

გაეგზავნოს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბაქოში რწმუნების ქაღალდი, რომლითაც უფლება მიეცეს მას, ყოველგვარ ხელშეკრულობა დასდოს ადერბეიჯანის მთავრობასთან საქართველოსთვის საჭირო საქონლის ყიდვა, გაცვლა გამოცვლის, ტრანზიტის და სხვა ეკონომიური და ფინანსიური საკითხებზე.

კანონ პროექტი მოკლე ვადიანი სესხის შესახებ მოწონებულ იქნას და წარედგინოს საქართველოს პარლამენტს.

მიენდოს ფინანსთა მინისტრს დაამტკიცოს გერმანულ ბანკების წესდება იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს რუსეთში—კავკასიაში არსებულ კომერციულ ბანკების წესდებათა ფორმალურ მოთხოვნილებას,

ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ მოწონებულ იქნა და მიენდოს ხსენებულ მინისტრს წარმოუდგინოს მთავრობას კომიტეტის შტატები.

ფოთში საზღვარ-გარეთიდან შემოზიდული საქონლის გამოსყიდვის შესახებ დაადგინეს: 1) გაუქმდეს მარილის მონოპოლია; 2) დაწესდეს მარილზე ნიხრი 3) დაევალოს ფინანსთა მინისტრს მისცეს სასურსათო საბჭოს თავმჯდომარეს ფოთის ნავთსადგურის მუშების გასასტუმრებლად, ნაწილ ნაწილად საჭირო ფული.

რკინის გზების მოსამსახურეთა ორგანიზაციას მიეცეს პურის ვალში ერთი ვაგონი შაქარი.

მიეცეს მიწათმოქმედების მინისტრს 320,000 მანეთი მომარაგების კომიტეტის საშუალებიდან, რუსეთის წითელი ჯვრის სალიკვიდაციოდ იმ პირობით, რომ ეს ვალი გაენაღდოს მომარაგების კომიტეტს წითელი ჯვრის ქონების გაყიდვით.

## მოხსენება

**საქართვ. რესპუბლიკის მთავრობას.**

(ტყვიბულის მუშათა და მწარმოებელთა ურთიერთ დამოკიდებულების მომწესრიგებელი მუშათა კომისიისაგან.)

ამა წლის 30 სექტემბერს ტყიბულში შესდგა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან კომისია, რომელსაც თანახმათ შრომის მინისტრის ამხანაგის გ. ერიძისა და თვით ტყიბულის 18 სექტემბერის თათბირის მოწოდებისა, უნდა მოეწესრიგებინა მუშათა და მწარმოებელთა შორის გამწვავებული დამოკიდებულება და მით ხელი შეეწყო ქვანახშირის წარმოების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებისათვის. კომისიაში შედიოდენ: ტფილისიდან მუშათა საბჭოს მიერ დ. ხართიშვილი და პროფ. კავშირებიდან ს. ვადაჭკორია; ჭიათურიდან მუშათა საბჭოს მიერ ზ. გურული და მუშათა არტელიდან ამ. კუპატაძე; ყვირილის საბჭოდან ვ. მერკვილაძე, ქუთაისიდან ე. სხირტლაძე, იპ. ნარსია და პ. ბერიშვილი. სამტრედიიდან და ფოთიდან თითო-თითო, ხოლო შრომის სამინისტროდან ვ. ურუშაძე.

მუშათა კომისიის წევრები ტფილისიდან და სხვა ადგილებიდან ქუთაისში შეხვდენ ერთმანეთს, და იქვე მოეწყო ორგანიზაციულათ: თავმჯდომარეთ აირჩია შრ. სამინისტროს წარმომადგენელი და მდივნათ იპ ნარსია. იქვე გამოიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმათ პირველ ყოვლისა კომისიას ერთად უნდა შემოევლო სამუშევრები, დაეთვალიერებინა ბინები, გამოეკითხა ყველა მუშათათვის მათი ყოფა ცხოვრების შესახებ და მხოლოდ შემდეგ მოეწვია თათბირი მუშათა წარმომადგენლების და წარმოების ხელმძღვანელთაგან. ასეც მოიქცა.

ორი დღე, 30 სექტემბერი და 1 ოქტომბერი, კომისიამ მოანდომა დათვალიერებას საიდანაც გამოიტანა მძიმე შთაბეჭდილება. სამუშაო განსაკუთრებით მისი მოუწყობლობით პირდაპირ კატორღულია: მაღაროში გზებიც და სამუშაო თავებიც წყლიან ტალახიანია და არავის არ მოსვლია აზრათ სავალ გზებზე მოხდენილ რუების გაყვანისა და შუა გულის ამაღლებისა ფიცრების დაგებით.; მაღაროშიაც, ისე როგორც ყველგან მტაცებლურ წარმოების სისტემის გამეფების გამო მაღაროები თავებზე დაქცეულია და საშიშია როგორც მუშათა სიცოცხლისათვის, აგრეთვე ნახშირის არსებობისათვისაც, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ხშირია ცეცხლის გაჩენა. მაღაროებში ბევრია უშუშო ლამპა, რაც საშიშ მდგომარეობაში აგდებს მუშათა სიცოცხლეს აფეთქების (გაზის) მოლოდინში და ჯანმრთელობასაც არყევს ნავთის კომლით. კარგათ არ არის ამ მხრით საქმე ღია სამუშაოებზედაც (კარიერი). სადაც წვიმის დროს მუშებს მუშაობა უხდება უბრალოთ ჩაცმულთ, ვინაიდან საწვიმრები არ აქვთ. სამრეწველოში ძალიან გავრცელებულია მცირე წლოვნების შრომა და ისიც ისეთ ჯოჯოხეთურ სამუშაოზე, როგორც მექანიკური სარჩევია, სადაც, გარდა იმისა, რომ მანქანა თხოულობს, გაძლიერებულ თვალ ყურის გდებას, წარმოუდგენელი მტვერია (გაზ ნარევი) გავრცელებული.

მუშათა ტ ნჯვას ართულებს ასეთივე აუტანელი ბინები, რაც სავსებით უგემოთ და ულაზათოთ აშენებიათ და მიუგდიათ სრულიათ უყურადღებოთ. ბევრ მათგანში ზევიდან წყალი წვეთს, ხოლო კედლებიდან ქარი ისე დაბერავს, როგორც სურს. ჭერი და იატაკიც დაძველებულია, დამპალა. ამავე დროს სავ-

სებით დაუსუფთავებელია, როგორც ბინები, აგრეთვე ეზოები და ახლო-მახლო ადგილი. არაა ფეხის ადგილები. ყველა ამასთან კიდევ უბედურება ისაა, რომ ასეთი ბინები სამყოფი არ არის და მუშებს რომ ცის ქვეშ არ ეთიათ ღამეები, თვით მოუწყვიეთ კარვები ძველი ნამტვრევი ფიცრებისაგან, სადაც პირუტყვთაც გაუქირდებოდათ ცხოვრება. ასეთ კარვებში მუშები ბნელაში ცხოვრობენ, ვინაიდან გასანათებლად ნავთი არ ეძლევათ.

თუ დავუმატებთ ზემოთ თქმულს იმასაც, რომ ტყიბულის სამრეწველოში აზრათ არ მოსვლიათ კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები დაეარსებინათ, თუ კულტურულ მუშაობათ არ ჩავთვლით იმას, რომ ერთი მასწავლებელი თითონ მოსულა (მგონი პურის გამოსაცვლელათ). ტყიბულში და სამრეწველო კომიტეტისაგან მიუღია ნებართვა წერა კითხვის სკოლის გახსნის, რაც ამ ხანათ საავადმყოფოდ გადაუკეთებიათ. ადგილი მასახვედრია მუშათა ჩამორჩენილობა; უორგანიზაციობა, თითქოს ვინმეს ხელოვნურათ შეურჩევიაო. ამ პირობებში იქიდან მისვლის უმალვე გარბოდა ქალაქის შეგნებული მუშები, რჩებოდა გლეხური ელემენტები, ვინც ეგუებოდა ჯოჯოხეთურ პირობებს.

მავიწყდება მეთქვა საქმიმო დახმარებაზე: ორი ათას მუშიან სამრეწველოში რაღაც ათამდე ადგილიანი საავადმყოფოა და ისიც უყურადღებოთ მიგდებული. ექიმი ერთია და როცა ის მიდის, მუშები რჩებიან ფერშლის ამარა. სიცხიან ავათმყოფებს ისტუმრებენ სახლში, რომელთაგანიც ცოტანი უკან ბრუნდებიან.

ყველა ამის შემდეგ საკვირველი არაა, როცა მუშებში ღვივდება მაქსიმალიზმი. როცა იმისთვის უცხო ხილია ის აზრი, რომ მუშა უნდა აფასებდეს წარმოების არსებობას. ეს მით უმეტეს, რომ მუშათა შორის კულტურულ-შეგნებულ ელემენტების არ ყოფნას გაუმრავლებია დემაგოგ პარაზიტები, რომლებიც მუშების წყალობით ზურგ მომაგრებული არხეინათ დადიან „სამუშაოზე“. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს პირობები, რასაკვირველია, არ შექმნილა წელს, რკინის გზის სამინისტროს ხელში, არა ის გამეფებულა თავიდანვე, „ნახშირა“-საგან. გაგრძელებულა სამრეწველო კომიტეტის ხელში და ჩვენი რკინის გზის სამინისტროს ხელშიაც. სამწუხაროდ, სამინისტროს არავითარი ზომა არ მიუღია ჯოჯოხეთურ პირობები ოდნავ მაინც შეესუსტებინა. პირიქით პირობები გაუუარესებიათ მით, რომ მეტი ნახშირის მისაღებათ მუშათა რიცხვი მოუმატებიათ, მხოლოდ ბინების აშენებაზე ზრუნვა კი მხოლოდ მიწერ-მოწერაშია. გაუარესებია მდგომარეობა მით, რომ მუშებს მესამე თვეზე აძლევენ ჯამაგირებს. სექტემბრის პირველ რიცხვებში მიუციათ ივლისის ჯამაგირები, მხოლოდ აგვისტოს და სექტემბრის ჯამაგირები დღესაც არ მიუღიათ. კვებავენ დაპირებით, რასაც არავითარი ღირებულება არა აქვს, ვისგანაც არ უნდა იყოს ნათქვამი. ასეთ პირობებში არც ისაა გასაკვირველი, როცა შრომის ნაყოფი ძალიან მცირეა.

ყველა ამის შემდეგ მუშათა კომისია მიუთითებს რესპუბლიკის მთავრობას თავის დადგენილებებზე, რაც ამავე მოხსენებებშია ჩაკერებული, და გადაჭრით ამბობს, უკეთუ ჩვენი დადგენილებების მთავარი მუხლები დაუყოვნებლივ არ იქნება ასრულებული, ერთად-ერთი სათბობი მასალის წყარო ტყიბული კიდევ უფრო აირევა, ყოველნაირი ავტორიტეტი იქ მოისპობა და ანარქია განვითარდება. საჭიროა დაუყონებლივ დაურიგდეს მუშებს ფული და გამომუშავდეს ზომები, რომ შემდეგში არ განმეორდეს. საჭიროა თფილისიდან გადატანილ იქნეს მზა ბარაკები ბინებათ. საჭიროა საავათმყოფოს მოწყობა, საჭიროა სკოლების და სამკითხველოების გახსნა, უამისოთ იმ კულტურულ ელემენტებს, რომელნიც ეხლახან იქ მოვიდენ მუშებში ორგანიზაციული მუშაობისთვის, ნიადაგი გამოეცლებათ და ბურთი და მოედანი ისევ იმ პ რაზიტებს და ბნელ ძალებს დარჩებათ, რომელთაც დღემდე იქ სრული ბატონობა ქონიათ და ფართოთაც უსარგებლიათ.

აქვე დავსძენთ, რომ მატერიალური მხარე, ჯამაგირები, ტყიბულის მუშებისა, ზომიერი რჩება იმის შემდეგ, რაც ჩვენი დადგენილებით მათ სურსათის ფასი სრული უნდა გადაიხადონ. (უნდა გადაიხადონ რაც ჯდება რკინის გზის ტარიფის დაუმატებლათ) ამიტომ საჭიროა სურსათისა და საქონლის იაფათ შესაძენათ ზომები იქნეს მიღებული მთავრობის მიერ, მით უმეტეს, რომ ტყიბულის მაღაროები მთაშია და იქ სამრეწველოს მაღაზიების გარდა არავითარი სავაჭროები არაა, ხოლო ქუთაისი შორსაა.

ტყიბულის მუშათა და მწარმოებელთა შორის დამოკიდებულების მომწესრიგებელი კომისიის მონდობილობით

რწმუნებული ზ. გურული.

# ჭამი

(აკაკი გაბრიჩიძის (პლებეიშვილის) ხსოვნას).

შენ აღარ ხარ ჩვენ შორის
მიგვატოვე ობლათა...
მუშის ხვედრის, ვაების
საუბარ, სათხრობელათა
შენ ვერ დასძრავ ენასა,
ვერ დაგვიტკბობ სმენასა.

* * *

ციმბირის სუსხს გადურჩი,
ვერ გაგათბო მშობელმა...
მაგრამ გულში ჩაგიკრა
მრავალ ტანჯულ მშრომელმა;
და შენს კალამს ჭადლიანს,
მაშვრალთ ოფლში ჩაწებულს;
და სიტყვას სამართლიანს
ბორკილებში წამცებულს,
შენ უძღვნიდი პლებეის,
დამონებულ მასსასა...
ვინც ეძლეოდა ზეიმს—
გულს ჩასცემდი ლახვარსა,
რადგან ხალხის გასაჭირს,
და მაშვრალის ძრახვასა,
არვის აპატიებდი
და შურსა იძიებდი.

* * *

აღარ არის აკაკი,
იქ ძევს, ცივ სამარეში,
თითქოს უცხო არაკი,
მიმოჰქროლავს არეში...
შენი ყოფნა, ღიმილი,
გაიფანტა, გაქარწყლდა,
და შენ მეგობრებთანა
ჩემი გული დასწყლულდა.

* * *

შურით გული ივსება,
მსურს, რომ მოვსპო სამარე;
მიწიდან ამოგილო,
ერთად ვნახოთ ის მხარე,
სადაც აღარ იქნება
დატანჯული, მწუხარე...
დროშა იმედიანი,
ტრფობის სხივებიანი
მსოფლიოზე მეფობდეს,
ყველა სიცოცხლეს გრძნობდეს.

* * *

აღარ გვყავხარ აკაკი,
მიგვატოვე ობლათა...
წადი იქა, ჩვენ ძმებთან
ამბავის სათხრობელათა;
გადაეცი, რომ დროშას
აღარ დავხრით, აღარა;
ჩვენ ძირს დავსცემთ ამ დრო შავს,
რას დაგვაკლებს ქალარა!..

* * *

შენი ყოფნა ძამიკო,
ოჰ, ხან მოკლე, წამ იყო!

დ მეჩონგურე.

10 ოქტომბერი 1918 წ. ქ. თფილისი.

# დეპეშები

**ქუთაისი.** სადგურის პარტიული ამხანაგები გლოვობენ აკაკი პლებეიშვილის დაკარგვას.

ამხ. მონდობილობით რევიშვილი.

—

**ყარაიაზი.** თავზარი დაგვცა ძვირფასი ამხანაგის აკაკი გაბრიჩიძის ასე უდროვოთ დაკარგვამ გულ დათუთქულნი საქართველოს დემოკრატიასთან ერთად მწარედ დავსტირით მის უმანკო ცხედარს.

ილიკო დარჩია და
შაქრო მირიანაშვილი.

# სამგლოვიარო წერილი

ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა საუკეთესო მებრძოლი, საერთო საქმისთვის დაუღალავი ამხ. აკაკი პლებეიშვილი! იმ დროს, როდესაც ანარქია ერთგვარ სენათ მოედვა ჩვენს ქვეყანას და წალეკას უპირებდა მას, ვის არ ახსოვს აკაკის „მუშათა წერილები“. მომენტის სწორი და შეუპოვარი მხატვილი? ვის არ ჩაუთხრობს გულს ისეთი კალმის უდროოდ გამოსალმება და ისიც ისეთ გარდამავალ დროს, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით?

შენი სიკვდილი დიდი ტრაგიზმია ჩვენთვის, მაგრამ შენი ცხოვრება კი მისაბაძი მაგალითია.

შენი წმინდა პიროვნება სანთელივით შეწირული საერთო საქმეს, მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩვენს შორის! ინუგეშე იმით, რომ ჩვენ განვაგრძობთ იმ გზას, რომელსაც შენ ასე უდროოდ სიკვდილმა ჩამოგაცილა.

ფოსტა-ტელ. ამხ. ერთი ჯგუფის მონდობილობით აკაკი მეფარიშვილი.

# ამხ. აკაკი პლებეიშვილის დაკრძალვა

10 ოქტომბერს, ნაშუადღევის სამი საათიდან ხალხმა იწყო შეკრება ამხ. აკაკის ბინაზე, რომ უკანასკნელად პატივი ეცათ უდროოთ დაკარგულ მებრძოლისათვის.

5 საათამდე დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი და ცხედარი სამოქალაქო წესით, სამხედრო მუსიკით და პირველ რაიონის გვარდიელთა მგალობელთა გუნდით გამოასვენეს. სამგლოვიარო პროცესია გოლოვინის ქუჩიდან დაიშვა ვერის დაღმართზე და იქიდან კიროჩნის ქუჩით გაემართა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოსაკენ. სახალხო სახლთან პროცესიას შემოეგება ტრამვაის ამხანაგები წითელი დროშით.

ანტონოვის ქუჩაზე კი დაგვხვდა პირველ რაიონის სახალხო გვარდიის რაზმი სამხედრო წესით.

საღამოს უკვე სასაფლაოზე მივედით. ცხედარი გათხრილ სამარესთან დაასვენეს. წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მწუხარების შავმა იდუმალმა დაურბინა ყველას.

პირველათ სიტყვა წარმოსთქვა საქარ. პარლამენტის ს. დ. ფრაქციის სახელით ან. სალუქვაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დღეს, როდესაც ჩვენთვის ძლიერ საჭიროა თავდადებული მებრძოლნი, გულწრფელი სპეტაკი მუშაკები, როდესაც გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს, ჩვენ უკანასკნელათ ვეთხოვებით მუშათა კლასის ერთ საუკეთესო წევრს. მან თავისი სიტყვა ასე დაამთავრა; კვლავ გაისმა მუშათა კლასის მაღარო გვირაბებში სამგლოვიარო ხმა, ცრემლი-ქვითინი, კვლავ გაითხარა ცივი სა ლავი, მაგრამ იცოდე ძმაო თავგანწირულთა საფლავზე ადრე გაანათებს მომავლის დიადი სხივები და გაიმარჯვებს ის კლასი, რომელსაც შენ შესწირე თავიო.

ამის შემდეგ, მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა თფილისის ს. დ. კომიტეტის სახელით ს. ირემაშვილმა, რომელმაც აღნიშნა ამხ. აკაკის ღვაწლი და სიყვარული თფილისის მუშათა წრეებში.

ქუთაისის ორგანიზაციის სახელით ილაპარაკა ზაქრო გურულმა, რომელმაც დაახასიათა ამხანაგის წარსული ღვაწლი, მისი ტანჯვა-წამება ციხე-ციმბირში და შეუპოვარი მოქმედება ჩვენს პარტიაში.

7 საათზე ძვირ. ამხანაგი უკვე მივაბარეთ სამარეს, თავისუფლებისთვის მებრძოლთა წამებულ 2 დუმის დეპუტატების გვერდით.

ამხანაგის დასაფლავებას დაესწრენ საქ. პარლამენტის თავმჯ. კ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, ევ. გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი გიორგაძე, პარ. ფრაქციის წევრები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დამსწრე.

# წერილი რუსეთიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

12 ენკენისთვეს საღამო ჟამს დიდი ხნის ლოდინის შემდეგ როგორც იქნა გვეღირსა ფოთიდან გამოსვლა. როსტოვის გემ „პავლეზე“ მოვთავსდით 200 მეტი მგზავრი, ცხადია მგზავრების მეტი წილი სამშობლოში დაბრუნებული რუსები იყვნენ. ჩვენი მგზავრობის გეგმა იყო მივსულიყავით ქ. ქერჩში და აქედან წაღებული საქონელი (შალი, ჩაი, შაქარი რუსეთის საქონელზე (უმთავრესათ კი პურზე) გადგვეცვალა. მშვენიერი, წყნარი, მთვარიანი ღამე იყო, ზღვა როგორც იტყვიან „ზეთივით“ იდგა და ჩვენს გემს ნაზად მიარონიებდა. ქართველებმა ხელათ გააჩაღეს სიმღერა, ბევრი მგზავრები ყურ ჩამოყრილები, სევდით მოცულნი ეთხოვებოდენ მათ თფილ ადგილს მათ ყოფილ საბძანებელ ადგილს. სრულებით საკვირველი არ არის მათი დაღონება. ბევრს უკვირდა, ყური მახვილად მეჭირა, მაგრამ რუსებიდან აშკარა საყვედური, ქართველების გინება გემზე ვერ გავიგონე. ასე მეგონა რუსეთშიაც, მაგრამ აქ თურმე ჩვენი თრევა—ლანძღვის მეტს არას აკეთებენ, მაგრამ ამაზე შემდეგ.

პარასკევს დილით (13) სოხუმში შევიარეთ. აქ სანოვაგის მეტადრე პურის შეიაფება ეტყობა, ფოთში თუ შავი პური მესამე ხარისხის 4—5 მანეთად იყიდება აქ თეთრი ღირს 4 მანეთი, მჭადი კი 1—2 მან სასიამოვნო ის არის, რომ რამდენიც გინდა იშოვნი და ამისათვის „კუდში“ დგომა არ გიხდება. სოხუმის გაზეთი (სოც.-დემ.) ირწმუნება, რომ ადრე პური ბევრი მოვა და ფასი კიდევ დაიკლებსო.

შაბათს საღამოს 15 ენკ. გემი ნოვოროსიის ბოღაზში გაჩერდა. გულსაკლავი სურათი გეშლება თვალწინ იქ საცა ცემენტის ქარხნებია ზღვიდან, აყარება ანძები სჩანს, ეს იმ გემების ანძებია, რომლებიც ბოლშევიკებმა ჩასძირეს, გერმანელების შიშით. (არ მიითვისონო) ზღვის ნაწილი გემთა სასაფლაოს მოგაგონებს. ნოვოროსიის ბოღაზი (პორტი) ვისაც წინათ ენახა ეს, ის ახლა ცრემლებს ვერ დაიმაგრებს, აქ სიცოცხლე დუღდა, მუშები ჭიანჭველასავით ირეოდენ და საქმეს მაინც ვერ ასდიოდენ. მდიდარი ყუბანის სიმდიდრის დამცლელი ბოღაზი ეს იყო აქ მარტო ქართველი მუშები იყვნენ ასამდე, დღეს კი ორიოდე „ჯორ გემი“ (კატერ) დგას, მუშები ორას კაცამდე დარჩენილა. (არის 5—6 ქართველიც). ასეა ბედის ტრიალი; ვინც ქვეყანას ამშენებლად მოევლინა ჯერ დანგრევის მეტი არაფერი გაუკეთებიათ. იმ ღამეს ნოვოროსიაში უნდა დავრჩენილიყავით. ქართველები, ვინც შუაგულ რუსეთში მიდიოდენ, გაეშურენ ვაგზლისაკენ და ადრე დაღონებულნი მოვიდნენ უკან: ვაგზალში ნამდვილი, ნიკოლოზის დროინდელი ჟანდარმები ვნახეთო. მოგეხსენებათ ამ დღეებში გენ. ალექსეევის მოხალისეთა (добров. армія) რაზმმა ნოვოროსიიდან ბალშევიკები განდევნა და თვით როგორც ხედავთ ძველი რეჟიმი—მონარქიული წესწყობილება აღადგინა, როგორც გადმოგცეს შემოსვლის პირველ დღეებში ძარცვა გლეჯას, არც ეს „წესიერების“ დამყარებელნი თაკილობდენ თურმე, ბალშევიკებზე ნაკლებ არც ესენი აწუხებდენ მცხოვრებთ. დღეს კი ასე თუ ისე ნოვოროსიაში სიწყნარეა, მაგრამ სიწყნარე ჟანდარმიული, პასპორტი, პროპუსკი, გოროდოვოი, ჟანდარმი, სტრაჟნიკი, ქრთამი, ყველა ეს თვალში გეჩხირება და გწამლავს. ჩვენი გემის მგზავრები „უპროპუსკოთ“ არც რკინის გზით გაუშვეს და არც გემით ქერჩისაკენ. კიდევ კარგი რომ ქრთამი სჭრის, თორემ ვინც რიგს უცადა, უცადა 2—3—4 დღე.

ჩვენებმა ადრე ნახეს მწერალი—სალდათი და თითო თუმნად მიიღეს მოწმობა. ვაგზალში ჟანდარმები და სხვებიც ქართველ მგზავრებს ლანძღვა-გინებით დახვდნენ:—როგორ არა გრცხვენიათ, რომ ჩვენში მოდიხართ, როცა ქართველები რუსებს აწამებთ და ღამის გასათევ ადგილს არ აძლევთ, ხოცავთ, აწამებთო და სხვა. ძნელია ამ ხალხის დარწმუნება, ყველა ეს ტყვილია. შაბათსვე ვიყიდე ნოვოროსიისა და ეკატერინოდარის (ყუბანის ოლქი) გაზეთები, წარმოიდგინეთ ძნელად ნახავ გაზეთის ისეთ № ს რომელიც ქართველების „სიმხეცის“ აწერას არ ანდომებდეს რამოდენიმე სვეტს—Небывалая звѣрства грузин. ასეთია სათაურები. ასეთმა წერილებმა მომაგონა 1914 წელი, ომის დასაწყისში, მაშინ ასეთი ხოტბით ნემცებს უმასპინძლდებოდა ჭეშმარიტი რუსული პრესა, დღეს კი ჩვენზე იყრიან ჯავრს. ვერ დავფარავ ყველა წერილს ეტყობა ვიღაც შავკაცის ხელი, მაშ რითი ავხსნათ ის, რომ როცა ჩვენ გვათრევენ იმავე წერილში ჩვენს მეზობელ ერს აქებენ, იბრალებენ და იმასაც კი წინასწარმეტყველებენ ქართველები სომხებს ამოხოცავს ამისთვის ემზადებიანაო. თავს ვუყრი აქაურ გაზეთებს და თუ ჩამოსვლას ვეღირსე მინდა ჩვენებურ რუსულ გაზეთებს გადავცე—პასუხის მისაცემათ.

კვირას გამოირკვა, რომ ჩვენი მგზავრების გეგმა შეიცვალა: ნოვოროსიაში დაგვიხდა ამხ. პეტრე ჩინიჯაშვილი, ჩვენი რესპუბლიკის რწმუნებული. ის აქ ცნობილი პირია, მას კაი თვალით უცქერიან ჩვენები და რუსებიც ანგარიშს უწევენ. ქართველებს კი ისე უყვართ, რომ ჩვენს მთავრობას სთხოვეს (ევ. გეგეჭკორის პირით) აქ კონსულად დაგვინიშნეთო. ამხ. პეტრეს მოლაპარაკება ჰქონია ყუბანის მთავრობასთან და შეთანხმებულან: ყუბანი საქართველოს თვიურად აძლევს ას ვაგონ ფქვილს, სამაგიეროთ ქართველები აძლევენ ჩვენებურ საქონელს.

სასურსათო სამინისტროს რწმუნებულმა ნ. შ. ცინცაძემ გადასწყვიტა გემი აქ დაგვეცალა და საქონელი ყუბანისთვის მიგვეცა. ორშაბათს (16) კიდეც შევუდექით გემიდან საქონლის გადმოტვირთვას. მაშინვე გაჩნდა დამოჟნის მოხელე და უკმეხად გვითხრა: თქვენ იქ რესპუბლიკა გაქვთ, აქ კი მონარქიაა და ამიტომ უნებართვოთ გემის არც დაცლა შეიძლება და არც დატვირთვაო. ორი საათის რბენის შემდეგ ნება მოგვცეს გადმოცლის, მაგრამ ახლა უფრო ბოროლა მოხელენი მობრძანდენ და საქონლის დაბაჟება მოითხოვეს, აპირობდენ იგივე ბაჟი დაადებან რაც საზღვარ გარეთულზე არსებულა წინათ, მაგ. მოცვის ჩაის ფუთს 70 მ. ბაჟს ადებენ. რაკი ჩვენი წარმომადგენლები ამაზე არ დასთანხმდენ, ამიტომ საქონლის საწყობს დამოჟნამ თავისი კლიტე დაადვა.

ამხ პ. ჩინიჯაშვილმა იმ ღამესვე ინახულა გუბერნატორი (კუტეპოვი) და საქმის გამორკვევას შეეცადა. გუბერნატორი დიდი უკმაყოფილოა იმით, რომ ჩვენი მთავრობა მის დაუკითხავათ საქმეს იჭერს ყუბანის მთავრობასთან, ვერ ფარავს და იმასაც ამბობს, რომ ქართველები ჩორნო მორის გუბერნიას უპირებენ ჩამოაჭრან სოჩა, სოჩაში მას უკვე დაუნიშნავს ოლქის უფროსი და ახლა მობილიზაციასაც აპირებს (აქ გამოაცხადეს 16 და თუ ადრე აქ კონსული არ დაგვირჩა, ქართველებსაც წაიყვანენ ჯარში) ჩინიჯაშვილმა შესაფერი პასუხი მისცა თანამედროვე პომპადურს:—მე აქ პოლიტიკას არ ვიხები, ეკონომიური საკითხი მაინტერესებს და თქვენ თვით არ გაქვთ პური და თქვენ ამისთვის რად შეგაწუხებდითო, პური ყუბანსა აქვს, აქ მხოლოდ გზაა და თუ გზას დაგვიშლი თქვენ იცით და ყუბანის მთავრობამო. ბოლოს გუბერნატორი ცოტათი მოლბა და უთხრა, ხვალ აქ გენერალი დენიკინი მოვა და მაგ კითხვას გავარჩევთო.

მართლაც მეორე დღეს დენიკინი მობრძანდა, მას დიდი ამბით შეხვდენ, პარადიც გაუმართეს, მოქალაქეებს გამოუცხადეს სახლები ბაირაღებით და ხალიჩებით მორთოთ.

იმავე დღესვე ყუბანიდან ჩინიჯაშვილის სახელზე მოვიდა 13 ვაგონი ფქვილი და ქერი, რომელიც უნდა გაეგზავნა მაზნიაშვილის ჯარისათვის. კომენდანტის განკარგულებით არც დაანებეს ჩინიჯაშვილს გემზე დაეტვირთა და სამხედრო საწყობში მოათავსა. ყოველივე ეს დაწერილებით დეპეშით აცნობა ჩინიჯაშვილმა ეკატერინოდარში ბ ნ ბიჩს, რომლიდანაც დღე-დღეზე მოველით განკარგულებას. საზოგადოთ ყუბანისა და ჩორნომორიის მთავრობათა შორის დამოკიდებულება სახარბიელო არ არის. ყუბანის (ყაზახების) მთავრობა უფრო ლიბერალებია. როგორც ამბობენ ყაზახები გერმანიის ორიენტაციას ემხრობიანო, აქაური კი შავრაზმულია. ნოვოროსიაში სიტყვა „ამხანაგო“ არ შეიძლება ახსენო, ეკატერინოდარში სოც.-დემ. გაზეთიც გამოდის. ყუბანი ჩვენ მთავრობას სცნობს, ჩორნომორიას კი არა.

აპ. წულაძე.

ნოვოროსია
18 სექ.

# განცხადება

(საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობისაგან).

უხსოვარ დროიდან ქართველი ებრაელები სცხოვრობდენ საქართველოში ქართველ ქრისტიანებთან ძმობასა და მეგობრობაში. ენისა და ზნეჩვეულობის ერთობა და სამშობლოსადმი სიყვარული არ უშლიდენ ორთავეს დაეკავებიათ თავიანთი სჯული და თაყვანი ეცათ თავიანთ წინაპრების სარწმუნოებისათვის.

როდესაც ყველა ერებმა მიიღეს უფლება თვითგამორკვევისა და შეუძლიანთ თავისუფლათ მოაწყონ თავიანთი სასულიერო თემური ცხოვრება, ქართველი ებრაელები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, თავიანთ მოვალეობათ სცნობენ: ატრფონ მათ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკის, კეთილ მომავალზე, მხოლოდ მას მოახმარონ თავიანთი ცოდნა და ქონება, და ყოველგვარ სახელმწიფოებრივი პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადოებრივ საკითხებში იარონ თავიანთ მოძმე ქართველებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი. და რაიცა შეეხება თავიანთ შინაურ სასულიერო-თემურ და კულტურულ რელიგიურ ცხოვრების მოწყობას, ქართველი ებრაელები მტკიცეთ დაადგებიან თავიანთ წინაპრების ძველთქმა-ტრადიციებსა და ებრაელთა სარწმუნოების კანონებზედ; როგორც იყო აქამდის ისე უნდა დარჩეს მომავალ დროისთვისაც.

აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობამ შეიტყო რომ ქ. თბილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტი იწვევს საქართველოს ებრაელთა ეროვნულ ყრილობას ებრაელთა ეროვნულ საბჭოს შექმნის და სხვ. კითხვათა მოსაგვარებლათ. ამიტომ აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა ვალად რაცხს თავის თავს განაცხადოს, რომ მას (აგ. ის.), როგორც გამომხატველს ქართველ ებრაელების დიდი უმრავლესობის სურვილების არავითარი საერთო არა აქვს ქ. თფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტთან და სრულიად არ თანაუგრძნობს ამ უკანასკნელს, როგორც თავის ნებით და სრულებით სხვის დაუკითხავათ იკუთვნებს საქართველოს ებრაელთა ყრილობის მოწვევას უფლებებს.

ამასთანავე აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა აცხადებს პროტესტს ქ თფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ: სახელდობრ რომ, ეს კომიტეტი, როგორც ადგილობრივი დაწესებულება, უნდა მოქმედობდეს მხოლოდ თავის კომპეტენციის საზღვრებში, მაგრამ ეს ზემოხსენებული კომიტეტი, ზოგიერთ საკითხების გადაჭრის დროს, რომელიც ეხებიან ქართველი ებრაელების ცხოვრებას, გამოდის როგორც მთელი ებრაელთა ეროვნული ორგანო და განზრახ გადადის მისი უფლების წრიდან. წარსულმა დელეგატთა არჩევნებმა სრულიად რუსეთის ებრაელთა ყრილობის, რომელიც არ შესდგა პოლიტიკური მდგომარეობის გართულების გამო, უკვე გვაჩვენეს რომ 90 პროცენტმა მთელ ქართველ ებრაელებისამ მისცა ხმა ჩვენ საზოგადოების სიას № 9. ამიტომაც თფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტს შეშვენოდა უფრო ფრთხილათ მოპყრობა საერთო ებრაელთა საკითხებისადმი და უფრო შემოკლებულ მაშტაბით მოქმედება, განესაზღვრა რა თავის მოქმედების რაიონი თფილისით.

ვაცხადებთ რა პროტესტს თფილისის ებრაელთა სამრევლო კომიტეტის მოქმედების წინააღმდეგ, აგუდათ ისრაელთა საზოგადოების გამგეობა თავის მხრით იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას მათ მიერ მოწვეულ ებრაელთა ყრილობისა თფილისში.

აგუდათ ისრაელთა საზოგადოება ქართველ ებრაელთა სახელით გულწრფელად მიულოცავს საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რომლითაც ქართველ ებრაელებს ეძლევა საქართველოს პარლამენტში ორი ადგილი, რომლებსაც სულ ახლო მომავალში დაიკავებენ ჩვენი წარმომადგენელნი, ამიტომ ვთხოვთ საქართველოს პარლამენტს არავითარ ფორმაში არ გადასცეს [illegible] ადგილები [illegible] წამოაყენებს [illegible] ყრილობა, რომელსაც იწვევს თფილისის ებრაელთა ეროვნული საბჭო, მით უმეტეს, რომ რამდენათაც ჩვენ ვიცით ასეთი საბჭოები ქართველ ებრაელებში სრულიადაც არ არსებობენ.

გამგეობის თავმჯდომარე მ. ფიჩხაძე, მდივანი ი. ციციაშვილი, სასულიერო მმართველობა: ი. გაგულაშვილი, ა. ბუზიაშვილი, ქუთაისის ებრაელების რაბინი: რეუბენ ელიაშვილი, თანაშემწე ქუთაისის რაბინისა: მოშე რიჟანაშვილი.

6 ოქტომბერი, ქ. ქუთაისი.

# მოწოდება

მრავალი მტერი ყავს დემოკრატიას და ამათ შორის ხალხის უკულტურობა—უმეცრება არის ერთი უსაშინელესთაგანი. მის დაუმარცხებლად ყოვლად შეუძლებელია წინსვლა—განვითარება. ასეა ყოველგან და მით უფრო ჩვენში, სადაც დემოკრატია უკუღმართ ისტორიულ პირობების გამო მოკლებული იყო სინათლეს და კულტურას. დადგა დრო, როცა საზოგადოების ფართო წრეებში უნდა სერიოზულად მოეწყოს კულტურულ-განმანათლებელი საქმე.

მიიღო რა მხედველობაში ზემოდ-აღნიშნული დებულებანი ერთობის უბნის კომიტეტმა გამოყო კულტურულ განმანათლებელი კომისია უბანში კულტურულ მუშაობის საწარმოებლად.

მრავალ მხრივი, რთული და ძნელია აღნიშნული საქმე: საჭიროა ლექციების მოწყობა, წერა-კითხვის სკოლის დაარსება მოზრდილთათვის, სამკითხველოს მოწყობა, წარმოდგენების მართვა, სინემატოგრაფის მოწყობა და სხ.

ყველა ამისთვის საჭიროა შენობა, რომელიც უბანს, არ გააჩნია და რომლის აგება თხოულობს დიდ ხარჯებს.

იმ დაბრკოლებათა შორის, რომელნიც ხელს უშლიან აღნიშნულ საქმეთა მოგვარებას, ყველაზე ძლიერი დაბრკოლება—ეს არის ფინანსიური უსახსრობა. ამიტომ ერთობის უბნის კ. განმ. კომისია მოუწოდებს ყველა მათ, ვინც დაინტერესებულია დემოკრატიის კულტურულ ამაღლებით, გაუწიოს მას შესაძლებელი ზნეობრივი და მატერიალური დახმარება. კომისია დარწმუნებულია რომ დემოკრატიის შეგნებული ნაწილი თანაგრძნობით შეხვდება ამ მოწოდებას.

შემოწირულება მიიღება შემდეგ ალაგებში: 1) ერთობის უბნის მუშათა კლუბში: პ. გაჩეჩილაძესთან, 2) ჩერქეზიშვილის ქუჩა № 59 იოსებ კალანდაძესთან, 3) სასურსათო სამინისტროში კ. თალაკვაძესთან 4) სახალხო სახლში მეორე რაიონის ს. დ. მ. პ. ბიუროში.

ერთობის უბნის კომიტეტთან არსებული კულტურულ განმანათლებელი კომისია

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

კ. განმ კომისია.

# ს.-დემ. პარტიაში

**სადგ. ნავთლუღი** (კახ. რკ. გზა). 6 ოქტომბერს კახ. რკ. გზის სად. ნავთლუღში მოხდა კრება მეხუთე რაიონის თფილისის ორგანიზაციების სოც.-დემ. მ. პარტიის კოლექტივისა. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) პარტიული მუშაობა და პარტიის წევრების ხელახალი რეგისტრაცია, 2) გორის მაზრის თავად აზნაურობის ერთი ჯგუფის შეთქმულობის შესახებ. 3) თფ. ქალაქის საბჭოს დადგენილება შინაგან სამინისტროსთან არსებული საგანგებო რაზმის შესახებ, 4) მილიციის მოწყობა კახეთის რკ. გზაზე.

პირველი კითხვის შესახებ კრებამ ერთხმათ დაადგინა: ხშირ ხშირათ გაიმართოს პარტიული კრებები, მოხდეს პარტიის წევრთა ხელ ახალი რეგისტრაცია, გამორიცხულ იქნეს პარტიიდან ისეთი წევრები, რომელნიც არ ასრულებენ პარტიული წევრის მოვალეობას.

კოლექტივმა იქონია მსჯელობა გორის მაზრის თავად აზნაურთა ერთი ჯგუფის შეთქმულობის შესახებ და მოიწონა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი ამ საქმის გამო. ამასთანავე კოლექტივი გამოსთქვამს იმედს, რომ სამშობლოს მოღალატენი სასტიკათ იქნებიან დასჯილნი.

ქალაქის საბჭოს მიერ განსაკუთრებულ რაზმის წინააღმდეგ გამოტანილ რეზოლიუციის შესახებ კოლექტივმა დაადგინა: გამოეცხადოს სასტიკი პროტესტი დაშნაკ-ესერებს, რომელნიც აშკარათ გამოვიდენ სპეკულიანტების დამცველათ და გაილაშქრეს სპეკულიაციასთან მებრძოლ რაზმის წინააღმდეგ. გამოეცხადოს ნდობა და მადლობა საგანგებო რაზმს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის სასარგებლო მუშაობისთვის.

შემდეგ კოლექტივმა იქონია მსჯელობა კახეთის რკინის გზაზე სამუდამო მილიციის მოწყობის შესახებ და დაადგინა: გზაზე სრული წესრიგის დამყარე-

ბისათვის აუცილებლად საჭიროა მოეწყოს სარკინიგზო მილიცია, რომელიც სავსებით უნდა დაექვემდებაროს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და რომელიც იქნება დარაჯი და ცხოვრებაში გამტარებელი მთავრობის მიერ გამოცემულ კანონებისა და ცირკულიარებისა.

ამ საქმის მოწყობას კოლექტივი ავალებს კახეთის რკ. გზის მთავარ კომიტეტს. ნ. დოლიძე.

---

**ტრაპიზონში** მომუშავე ამხანაგების საყურადღებოთ. უკანასკნელათ მოვუწოდებ ყოფილ ტრაპიზონის სოც.-დემ. კომიტეტის წევრებს, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრებს და ქართველ სამხედრო საბჭოს წევრებს გამოცხადდენ 30 ოქტომბერს დილის 10 საათზე თფილისში მუშათა საბჭოს შენობაში, ზემოთ ხსენებული ორგანიზაციების ლიკვიდაციის მოსახდენათ.

მოვაგონებთ ამხანაგებს, რომ 7 თვეზე მეტია ჭიანურდება ლიკვიდაციის კითხვა მათი მიზეზით და რომ ისინი ვალდებული არიან დაესწრონ ამ უკანასკნელ კრებას. უნდა ახსოვდეთ, რომ იმათი კრებაზე მოუსვლელობა შეუძლებელს ხდის ლიკვიდაციის მოხდენას, რაიც მომავალში გამოიწვევს არა სასურველ შედეგებს, და პასუხისმგებლობა კი დაეკისრება იმ ამხანაგებს, რომლებიც არაფრათ აგდებენ საზოგადოების წინაშე მოვალეობის მოხდას. ვ. ჭედია.

P. S. უმორჩილესად ვსთხოვ გაზ. „ბორბას“ და ჟურ. „სოც.-დემოკ.“ გადაბეჭდონ ეს წერილი. ვ. ჭ.

---

**ჯვარცხმის საზ.** (გურია). 22 სექტემბერს მოხდა ჯვარცხმის ს. დ. პ. რაიონული კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. ს. შონიამ. ის შეეხო მიმდინარე მომენტს, აღნიშნა ოსმალეთის შემოჭრით გამოწვეული პარტიული მუშაობის მონელება და მოუწოდა ამხანაგებს ენერგიული მუშაობისაკენ. მას შემდეგ მოხსენება გააკეთა ადგილობრივმა კოლექტივის თავმჯდომარემ განვლილ მუშაობის და ანგარიშის შესახებ, რომელმაც აღნიშნა: გურიაში ოსმალეთის შემოჭრამ მოწინავე ამხანაგები მოსწყვიტა პარტიულ მუშაობას, ყველამ ფრონტს მიაშურა, ამიტომ ზოგ რაიონში პარტიული მუშაობა თითქმის ორი სამი თვე შეჩერდა, ასეთი ბედი ეწვია ჯვარცხმის რაიონსაც. მაგრამ დაბრუნდნენ თუ არა ფრონტიდან მაშინვე შეუდგნენ მუშაობას და პირველი კრება ჯვარცხმის კოლექტივისა მოხდა 30 ივნისს. მას შემდეგ იაჩეიკებშიაც გაჩაღდა მუშაობა. თუ რამდენად ენერგიული მუშაობა სწარმოებს, ამას ამტკიცებს წევრების მომატება რიცხვით. ივლისში მთელ რაიონში ითვლებოდა 147 წევრი, აგვისტოში 182, დღეს კი 212 წევრი არის. ანგარიშის მხრივ, ძველი კოლექტივიდან გადმოუბარებიათ 52 მ. და 87 კაპ. მას შემდეგ ერთდროული და საწევრო შემოსულა 87 მანეთამდის. ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად მოხდა არჩევნები კოლექტივის, სარევიზიო კომისიის და კომიტეტის წევრების. კოლექტივში შედის ცხრა კაცი. არჩეულ იქნენ: ვასო ჩიგოგიძე, მ. დოლიძე, კ. უნგიაძე, ლ. პაიჭაძე, მ. თავბერიძე, პ. ცენტერაძე და ფ. ჩხიკვიშვილი. კანდიდატებათ ი. თავბერიძე კ. კუკულავა და ლ. ჩიგოგიძე. სარევიზიო კომ. წევრებათ არჩეულ იქნა სამი კაცი ი. მახარიძე, ა. პაიჭაძე და მიხაკო ჩიგოგიძე. ცენტრალური კომ. წევრებათ ორი ვ. ჩიგოგიძე და მ. დოლიძე. მ. ბეჟანაშვილი.

---

**სანაინის** რაიონის ს. დ. მ. პარტიის ორგანიზაციის ანგარიში. პირველ იანვრიდან ირიცხებოდა პარტიაში 151 წევრი. თებერვალში 145, მარტში 127, აპრილში 50, მაისში 42, ივნისში 33 ივლისში 23, აგვისტოში 12, სექტ. 9, ოქტ. 9 ნოემბერში 9 და დეკემბერში 9 წევრი. ორგანიზაცია მუშაობდა მაისამდის, მაგრამ ზოგიერთ ამხანაგებს მთელი წლის ქინდისწინა აქვთ გადახდილი. დანარჩენები სამხრეთის გზის დაკეტვის შემდეგ გადაიყვანეს სხვადასხვა რაიონებში, სადაც ისინი განაგრძობენ ორგანიზაციაში მუშაობას და საწევრო გადასახადსაც იქ იხდიან. სანაინში ზემო-აღნიშნულ წევრებს შემოტანილი აქვთ საწევრო გადასახადი თვიური ორ-ორი აბაზობაზე, რომელიც შეადგენს 247 მ. 60 კაპ. პირველი იანვრიდან ზემო-აღნიშნულ რიცხვებში ახლად ჩაწერილია 19 კაცი, რომლებსაც ჩასაწერი გადახდილი აქვთ ათშაურობაზე 9 მ. 50 კაპ. წასული წლის ფონდიდან დარჩა პირველ ამა წლის იანვრისთვის 38 მან. 20 კაპ. მთლად შემოსავალი შეადგენს 295 მან. 30 კაპ.

გასავალი იყო: შეტანილია საოლქო კომიტ. იანვრის, თებერვლის, მარტის და სხვა თვეების შემოსავლიდან საერთოდ 72 მანეთი. ამხ. თავმჯდომარეს მიეცა სამჯერ ორ-ორი დღე თფილისში წასვლის საოლქო კომიტეტში ორგანიზაციის საქმეზე 60 მან. სულ გასავალია 132 მან. ხარჯებს გარდა დარჩა 163 მ. 30 კაპ.

ზემო-აღნიშნული 163 მან. 30 კაპ., ორგანიზაციის ბეჭედი, თავმჯდომარის მდივნის და ფულის გადახდის (ჟელონჩენო) შტემპელები, აგრეთვე წევრების ჩასაწერი წიგნი, ყველა ოქმები და წარმოების მიწერ-მოწერა გადაეცა საოლქო კომიტეტს, საიდანაც შეუძლიათ სანაინელ ამხანაგებს მიიღონ, როდესაც შეადგენენ ს. დ. პარტიის ორგანიზაციას.

თავმჯდომარის ამხ. პლატონ ანთიძე.
მდივანი ი. ნავროზაშვილი.

## პროვინცია

**თელავი.** აქ არსებობს სახალხო გვარდია რიცხვით 200 კაცამდე. დღ დ. ნ რაზმის დაარსებისა ვიმედობდით უკეთ წავიდოდა საქმე, მაგრამ გვარდია თანდათან იხრწნება, ირღვევა და მალე შეიძლება არარათ იქცეს. ამ თვის პირველ რიცხვებში თელავს ციხე შიგნიდან იქნა გატეხილი და 7 ტუსაღი გაიქცა. მათ საძებრათ გაწვეულ იქნა სახალხო გვარდია. სამწუხაროთ გვარდიის წევრებმა სრული გულგრილობა გამოიჩინეს ათიოდ კაცი ძლივს შეიკრიფა, მაგრამ ეს პატარა რაზმი რომელ ერთ მხარეს შეიძლებდა წასვლას? მთელი დღის ხეტიალის შემდეგ დაბრუნდენ უნაყოფოთ. გაქცეულთაგან მოსალოდნელია ექსცესები. სასურველი იქნებოდა შეგნებული მუშა-ამხანაგები ჩარეულიყვნენ ენერგიულათ გვარდიის სულიერათ აღდგენის საქმეში. მთელი გვარდ. ყრილობას მოიწვევდენ, ხშირათ გამართავდენ კრებას, გასწმენდდენ მას შემჩნეულ მავნე ელემენტებისაგან და სხვ. მით უმეტეს სასიხარულოთ ჩაითვლებოდა, თუ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებდენ და წიგნების და ჟურნალ გაზეთების კითხვას დაეწაფებოდენ.

ი. საყვარელიძე.

---

**ს. ზანათი** (სენაკის მაზრა) ს. ზანათი ცოტად თუ ბევრად შეძლებულ გლეხობითაა დასახლებული, სიმინდის კარგი მოსავალია, ასე რომ სიმინდი საწარმოვო საშუალებასაც წარმოადგენს აქაურ მცხოვრებლებთათვის. წვიმები და მდ. აბაშის ადიდება თუ არ დაუშლის ხელს. მიუხედავად ამისა ს. ზანათის ახალგაზდობა ხშირია ქალაქებში ზოგი სამსახურში, ზოგი სკოლაში. კულტურულ დაწესებულებიდან ზანათში არის ორკლასიანი სასწავლებელი, ბიბლიოთეკა და კოოპერატივი (მომხმარებელი და წისქვილი). სკოლას შენობა სასურველი აქვს, ხოლო ამ ბოლო დრომდე მასწავლებელთა პერსონალი არ იყო შესაფერი, ამ წელს სკოლის შესაკეთებლათ საზოგადოებამ ექვსი ათასი მან. გადასდო, ათასი მანეთი კი სკოლის დარაჯისათვის. სამკითხველოს დაარსების პირველ ხანებში 1916—17 წ. წ. მოდიოდა გაზეთები და წიგნებიც იყო შემოწირული, ეხლა კი მიკეტილია, ფანჯრები გამომტვრეულია, სურათებისთვის თვალები ამოუთხრიათ, გაზეთი და წიგნები დაუტაცნიათ. გამგეობა უვარგისი გამოდგა და სხვამ კი ყურადღება არ მიაქცია. ეს მასწავლებლების მოვალეობაა.

ზანათის კოოპერატივი, მეზობელ სოფლებისათვის სამაგალითოა. ისეა დაყენებული საქმის წარმოება, რომ დეფიციტს ადგილი არა აქვს. მომხმარებელ საზოგადოებას ისეთი პირები განაგებს, რომ მათის წყალობით საქმე მშვენივრად მიდის. თუ სადმე საქონელი იშოვება ზანათის მომხმარებელ საზოგ. არ დააკლებენ. საინტერესოა წისქვილი. წისქვილის გამგეობამ შეისყიდა „ტაჩქა“ ცხენით, ტაჩქა წევრებს უფასოდ უზიდავს სიმინდს და ფქვილს სახლში; საზოგადოება, როდესაც ხედავს ამას, თვით დაინტერესებულია არ შეფერხდეს საერთო საქმე. წისქვილს წევრებად გარდა ზანათელებისა ბევრი შორეულიც ჰყავს როცა სიმინდი 120 მან. ფასობდა წევრებს 55 მან. აწვდიდენ, ამით ღარიბებს დიდი დახმარება გაუწია. ზანათის საზოგადოებამ ერთ-ერთ თავის კრებაზე გადასწყვიტა გზების შეკეთება და შესწორება, ამის სისრულეში მოსაყვანად აირჩია 14 კაცი, რომლებმაც სისრულეში მოიყვანეს დადგენილება. დასჭრეს ხეები, შეაკეთეს ხიდები და მოაყარეს ქვა. კრებებს და მიტინგებს ხალისით ესწრებიან. აპირებენ მდ. აბაშაზე ხიდის გაკეთებას. სკოლასთან ხიდი თავის ხარჯით, პეტრე გუნიამ გააკეთა, ხალხის დახმარებით, თავისი განსვენებულ შვილი გიორგის ხსოვნის აღსანიშნავად.

პარტიული ამხანაგები ნორმალურად მუშაობენ. კრებების ოქმებსაც ინახავენ. ყოველივე ეს დადებითი მხარეებს შეეხება. უარყოფითი მხარე იმაში გამოიხატება, რომ მძარცველების და ყალბ ფულებით გამვრცელებელ პირების წინააღმდეგ ხალხი ზომას არ ღებს. რევოლიუციისადმი გულგრილობა არ ეტყობა ხალხს. ამ სოფელში იყის ცემბერელი და პოლიტიკური გადასახლებულები. 1905 წ. ზანათი წითელ რაზმელების და პროპაგანდისტების ბუდეთ ითვლებოდა. მოწინავე ამხანაგები ეხლაც საკმაოდ არიან და შესაფერი მომზადებაც აქვთ. X,

---

**ს. ბზვანი** (ქუთაისის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს ქუთაისიდან სამხრეთით მდინარე რიონის გაღმით. კულტურულათ ბზვანი ვერ დგას სასურველ ნიადაგზე, ამის მიზეზათ უნდა ჩაითვალოს მდინარე რიონზე უხიდობა რაც ქალაქს საგრძნობლად გვაშორებს. დღემდის ამ სოფელს არ ქონდა წიგნსაცავ სამკითხველო, და რომ ეს ერთათ ერთი კულტურული დაწესებულება გვექნება, ეს უკვე მომხდარი ფაქტია. ამ ზაფხულზე ჩვენებურმა ახალგაზდობამ არ დაიშურეს თავიანთი შრომა, რომ სამკითხველოს ფონდი შეექმნათ, გამართეს წარმოდგენა აგვისტოს 31; წარმოდგენილი იქნა სამ მოქმედებიანი დრამა „მსხვერპლი“. წარმოდგენა სასურველათ ჩატარდა, ხალხიც ბლომათ დაესწრო და დიდათ ნასიამოვნებიც დარჩა. წმინდა შემოსავალი დარჩა წარმოდგენიდან 3156 მან. წარმოდგენის გამგენი მადლობას უცხადებენ ყველა იმ პირთ ვინც კეთილ ინება და თავის წვლილი გაიღო სამკითხველოს სასარგებლოთ.

გამგენი: ქნი ნ. ჯოლოშვილისა, ვ. გოგორიშვილი და ზ. ტყეშელაშვილი.

---

**სამტრედია** სამტრედიის პოლიტიკურ კლუბის დარბაზში მოხდა სამტრედიის სახალხო გვარდიელების კრება. თავმჯდომარე პორფირე გიორგაძემ მიუწოდა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცა ომში დაღუპულ ამხანაგებისათვის. რის შემდეგ კრება შეუდგა დღის წესრიგს შემუშავებას. კრებაზე ბევრი კითხვები იყო წამოყენებული, მაგრამ რადგანაც ნაწილი კრებისა საჩქაროთ უნდა გამგზავრებულიყო სოფელ წიაღობანში ანარქიის ჩასაქრობათ, საცა მოკლულ იქნა ერთი გვარდიელი ამხანაგი, კრებამ მხოლოთ სამი საკითხი გაარჩია. 1) ადგილობრივი სახალხო გვარდიის შტაბის რეორგანიზაცია, კრებამ მოიწონა მომხსენებლის აზრი ამის შესახებ და ამოირჩია სამტრედიის სახალხო გვარდიის შტაბში 5 ამხანაგი: კოლია კვერნაძე, სერგო ნინუა, ილიკო ძაძამია, გიორგი ამაღლობელი და სამსონ გრიგოლია. მეორე საკითხი საამხანაგო სასამართლოს დაარსება იყო, რომლის შესახებ მოხსენება გააკეთა კოლია კვერნაძემ. კრებამ საჭიროთ სცნო სასამართლოს დაარსება და ამოირჩია სამი ამხანაგი სასამართლოს წევრებათ და ერთიც მათი კანდიდატი. ამორჩეულ იქნენ ხმის უმეტესობით სასამართლოს წევრებათ: კაპ. სოლომონ ბოლქვაძე, ბიქტორ ადამია, სიო ფოცხვერია. მათ კანდიდატათ ელისო მექვენაძე. კრებამ გამოსთქვა სურვილი სასამართლოს სხდომებს ესწრებოდეს შტაბის წევრი სათათბირო ხმით. მესამე საკითხი იყო მუსიკის შესახებ. კრებამ გადასწყვიტა სამტ. სახ. გვარდიამ იყოლიოს მუსიკა ხოლო მის ტეხნიკურ და ეკონომიურათ მოწყობაზე ზრუნვა მიანდოს შტაბს.

გ. ა—ბელი.

---

**ს. პერევისა** (ზემო იმერეთი). აგვისტოს შუა რიცხვებში მოხდა კრება, პერევისის კოოპერატივის წევრებისა, სადაც განხილული იყო მთელი წლის ანგარიშები. მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა მღვდ. ბესარიონ დევიძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კოოპერატივს სამი ათასი მანეთი დარჩენია მოგება. შემდეგ აკეთებს მოხსენებას სარევიზიო კომისიის წევრი, გიორგი კონ. წერეთელი. მან დაამტკიცა, რომ გამგეობას უშუშავნია ენერგიულათ კოოპერატივისთვის და გამოსთქვა მადლობა სარევიზიო კომისიის სახელით, გამგეობისადმი. საზოგადოებამაც მადლობა გამოუცხადა გამგეობას. სარევიზიო კომისიას რევიზიის დროს, ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია ერთ გარემოებისათვის. ერთ ერთი ნომერი ანგარიშისა, რომელიც წამოღებული იყო ქუთაისიდან ჩვენ კოოპერატივ „საშუალებას“ არ მიუღია და ანგარიშში ის სარევიზიო კომისიას არ შეეტანა. ამან კამათი გამოიწვია. ამის გამოსარკვევათ დანიშნულ იქნა ამ კრებაზევე ამხ. სამუილ ხოსაძე, რომელიც გაიგზავნა ქალაქ ქუთაისში კავშირთან მოსალაპარაკებლად და საქმის გასაგებათ. ეს საკითხი ამით გათავდა. ვიქ. მოქალაქეშვილი.

## თეატრი და ხელოვნება

(მუშათა კლუბში)

6 ოქტომბერს, ორთაჭალის მუშათა პოლიტიკურ კლუბის თეატრში წარმოდგენილ იქნა სალაყაას რეჟისორობით ქართულ ენაზე ირეთელის ცნობილი პიესა „დამარცხებულნი“. მიუხედავათ ამინდისა დარბაზში მაინც ხალხის ტევა არ იყო. 1905 წლის მუშათა დამარცხება, რომელიც აწერილია აღნიშნულ პიესაში, მუშების მიერ განცდილი წარსულის გათვალისწინებაა. ორთაჭალის და ხარფუხის რაიონები, სადაც ცხოვრობენ მუშათა დიდი უმრავლესობა ამ გვარ პიესებს ძალიან ეტანება. დასახელებულმა პიესამ დიდი შთაბეჭდილება იქონია დამსწრე საზოგადოებაზე. პიესა საერთოდ კარგად იქნა შესრულებული, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა. მოხდენილათ იქნა შესრულებული ნიკოს და დავითის როლები. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა სცენის მოყვარე გაბო მჭედლიშვილი, რომელმაც შესძლო ვანოს სულიერი მდგომარეობის გადმოცემა, დიდ დაკვირვებას და ნიჭს იჩენს. მოხდენილათ იქნა მესამე მოქმედება შესრულებული. უნდა ითქვას, რომ მსახიობთა უმრავლესობა შესდგებოდა ადგილობრივ მუშებისაგან, რომლებმაც თავის როლების შინაარსის განცდით უმნიშვნელო გახადეს ყველა უარყოფითი მხარეები. სასურველია, რომ კლუბის გამგეობამ აი ამ ნიადაგზე იმუშაოს, რომ შექმნას ჩვენ მუშებისაგან სასცენო ძალები. უსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას მუშათა ახლად გაფურჩქვნილ კლუბს და მის გულშემატკივარ მუშაკებს.

ნა—მი.

## წერილები რედ. მიმართ

პატივცემულო რედაქტორო! „ერთობის“ № 185-ში ვიღაც „ჭინათელი“ ეხება რა ჩემს პიროვნებას, ბრალს მდებს შალვა კომახიძის მწერლობიდან უკანონოთ დათხოვნაში და მის ადგილზე მღ. ბარ. ჯორბენაძის დაყენებაში. ხსენებულ კორესპონდენციაში ჩემს წინააღმდეგ მოყვანილი დებულებები არც ერთი სინამდვილეს არ შეიცავს.

საქმის მდგომარეობა არის შემდეგში: ყველამ იცის, რომ სახელმწიფო მექანიზმის გადატრიალების შემდეგ, სანთლით ვეძებდით გამოცდილ და პატიოსან პირებს სოფლის სამმართველოში სამუშაოდ, მაგრამ ვერ ვშოულობდით. ჩიბათის ალმ. კომიტეტმა, სანამ შესაფერ კანდიდატს მონახავდა, მდივნის თანამდებობაზე მოიწვია მღ. ბარნაბე ჯორბენაძე, რომელიც რიგიანათ ასრულებდა მოვალეობას. ეს იყო რასაკვირველია დროებით. შემდეგ ჩემთან მოვიდა შ. კომახიძე და მთხოვა მიმეცა მისთვის ჩიბათში მდივნის ადგილი. მე სიამოვნებით დავეთანხმე, თუ კი ის შესძლებდა მუშაობას და ადგილობრივ ორგანიზაციასთან შეთანხმებით გავგზავნე სამუშევრათ მღ. ბ. ჯორბენაძის ხელმძღვანელობით. გადის დრო, შალვა კომახიძე არამც თუ ვერ ასრულებს მდივნის მოვალეობას, პირიქით უბრალო წინადადების დაწერასაც ვერ ახერხებს. რჩება შეუსრულებელი ათასნაირი ხალხის მოთხოვნილებები, მთავრობის მიწერ მოწერით ქაღალდები არ მიბრუნდებოდა და თუ მიბრუნდებოდა ისე, რომ მისი სადმე წარდგენა ყოვლად შეუძლებელი ხდება. ამ დროს დგება ოსმალეთის საფრთხე. ხალხი ჰკრებს თავის წრიდან ყველას, ვისაც ჯარში სამსახური შეუძლია, ოჯახური პირობებით იძულება არ ადგია და ფრონტზე გზავნის. კომახიძე აიძულა ხალხმა გასულიყო ჯარში. მის წასვლის შემდეგ, ადგილობრივი ადმინისტრაცია, მოწინავე პირების დახმარებით ისევ დროებით იწვევს მდივნის მოვალეობის შესასრულებლად მღ. ბ. ჯორბენაძეს. უკანასკნელიც თანხმდება, აგროვებს სხვადასხვა ადგილზე მიყრილ-მოყრილ სასამართლოს საქმეებს და აყენებს ნორმალურ კალაპოტში საქმის წარმოებას. ცოტა ხნის შემდეგ შ. კომახიძე ბრუნდება ჯარიდან და ადგილს მთხოვს მდივნობისას. აი ჩემი პასუხი: „წადი ძმაო, იმუშავეთ ან იქ და ან ჩემთან, შეეჩვიეთ საქმის წარმოებას, ისწავლეთ ქაღალდების შედგენა და ადგილი აუარებელია გინდ ჩიბათში და გინდ სხვაგან“. ამ გულწრფელ სიტყვებით კომახიძე უსიამოვნოთ მიდის ჩემგან. მიგზავნის რამდენიმე დღის შემდეგ მამამის „დიაკონს“ ხალამპრე კომახიძეს. მამასაც დარიგებას ვაძლევ და ურჩევ შეისწავლოს მისმა შვილმა ცოტა რამ მაინც მდივნობისთვის. ისიც გაჯავრებული გადის, გარეთ გასული ჩემს მილიციონერს—გვარჯალაძეს ეკითხება: „ფული რომ მივსცე თუ აიღებს კომისარიო“, მაგრამ მილიციონერი, როგორც თვითონ გადმომცა, უჯავრდება ამ სიტყვებზე და მიდის. ყოველივე ამის შემდეგ კომახიძეები მიდიან ოზურგეთში და მაზრის კომისარის თანაშემწე შეყავთ შეცდომაში. ბოლოს ეს საქმე გაარჩია ჩიბათის ს. დ. კოლექტივმა, რომელმაც გამომიგზავნა დადგენილება და მთხოვა: შალვა კომახიძე, როგორც უვარგისი პიროვნება, არ იქნეს დაშვებული მდივნათ და მდივნის ადგილზე დაინიშნოს ახლად ჯარიდან დაბრუნებული ალფესი ჩახვაძე, რომელიც მე დავამტკიცე და წარუდგინე კოლექტივის ოქმით მაზრის კომისარს. აი ყველა ჩემი „დანაშაულობები“. საქმის ფაქტიურ მხარეს ადასტურებს ს. დ. კოლექტივი და ალმ. კომიტეტი. რად დასჭირდა „ჭინათელს“ ფაქტების დამახინჯება და ცილისწამება?

ლანჩხ. რაიონის კომისარი ე. ჩახვაძე.

## ცნობები

მოსე და ილიკო ვადაჭკორიები მსახურებდენ ქალაქ ბათუმში მე 4 ქართულ პოლკში, მე-7 ასეულის მე-4 „ვზვოდში“, დაიკარგენ კაიადიბის გორზე, ვინც რამე იცის, გვაცნობონ შემდეგი მისამართით: ფოსტ. განყ აკეთი, ელისაბედ ვადაჭკორიას.

## განცხადებანი

ექიმი
**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეზხაპუნება. მიღება სად. 5—7 ს. ტელეფ. 1—04.

## დაიკარგა

საფულე, რომელშიაც აყო ფულად 150 მანეთი, პირადობის მოწმობა, სამსახურის მოწმობა, კვიტანცია ადამოვისაგან ღირებული 200 მანეთად. ფოტოგრაფიის კვიტანციები და სხვ. მპოვნელს ვსთხოვ ფული თვითონ დაიტოვოს, და დოკუმენტების დაბრუნებისთვის მიიღებს საჩუქარს კიდევ 100 მანეთს.
მისამართი: მიხეილის პრ. № 199. რესტორანი „ბახმარო“ ვანო ვასილის ძე გიორგაძე.

---

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 სად. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

---

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეზხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

---

**მედიცინის დოქტორი**
**ბერლინის უნივერსიტეტისა**
## გ. გ. მეგრაბიანცი
**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი**
**(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა)** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

**კბილის საექიმო კაბინეთები**
**თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

**რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფო რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭაჭების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

---

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **ხისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა **შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი** 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

---

ექიმი
## ლ. ს. სარაჯიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და შარდის სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე, კვირაობით დილის 10—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

ექიმი
## ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
## ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

---

**ექიმი გ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აგრეთვე ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიძეისა. ტელ. № 5—77.

---

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. წავათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

---

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

---

ექიმი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

---

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

---

**სამკურნალო კაბინეთი**
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**
## პეპელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეზხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

**მმ. ქალი რ. ზ. შიშლო-ხაბაზშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევს ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

---

**ქ. ხონი.**
**ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.**
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

---

**ჩიხეილის ქერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. დ. შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. სად. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეზხაპუნება. 606 და 914 შეზხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

## თფილისის სახალხო უნივერსიტეტში

**თფილისის სალიტერატურო ინსტიტუტში**

და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს (ქართულ ენაზე). ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება: 1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართული ენა და ლიტერატურა, საქარ. ისტორია) 2. ბუნების მეტყველება და მათემატიკა.

**ცნობად:** 1) ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლია ყველას, ვისაც სავაჟო ან საქალო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია. 2) ინსტიტუტში პირველ კურსზე ოცი **სტიპენდიანტის** ადგილი თავისუფალი. 3) თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდი-მთავრის ქუჩა № 91. (6—5)